საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

სამშაბათი, 25 ივლისი. 2017 წ. №149 (8286), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პატრიოტებო საქართველოსი, შეერთდით!

თვითონ ფაშისტი ლიბერასტების ელეთმელეთი

5

„სიცოცხლით სავსე ქალაქი“

– კახა კალაძის საარჩევნო სლოგანი

კახა კალაძემ საარჩევნო სლოგანი წარადგინა. „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის ვიდეო მიმართვა მისი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა. კახა კალაძის საარჩევნო სლოგანი „სიცოცხლით სავსე ქალაქია“.

„სიცოცხლით სავსე ქალაქი“ – ასეთი უნდა იყოს თბილისი და მე დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ ჩვენ ამას ერთად აუცილებლად შევძლებთ. თბილისი გაიმარჯვებს!“, – ამბობს კახი კალაძე ვიდეომიმართვაში.

ხელუხლებელი ბიძინა ივანიშვილი...

რა აუკრძალა დასავლეთმა 2011 წელს პროვოკატორ სააკაშვილს და რატომ საუბრობს მიშა იმაზე, რაც მანამდე არ უთქვამს?

3

მუხრანელებს საძოვარი უჭირთ, ეკონომიკის სამინისტრო კი კერძო პირზე 1003 ჰექტარ მიწას ჰყიდის!

4

გიორგი კვირიკაშვილი ბენიამინ ნეთანიაჰუს პირისპირ შეხვდა

საქართველოს **პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ოფიციალური ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან პირისპირ შეხვედრით დაიწყო. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საუბრის მთავარი თემები ორმხრივი თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკა, 25-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობები და სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარება იყო.**

პრემიერ-მინისტრებმა განიხილეს ორი ქვეყნის კონკრეტულ უწყებებს შორის არსებული პარტნიორობა და მისი შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები.

„ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურების მნიშვნელობაზე. აღინიშნა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის მონაცემების ზრდის დინამიკა და ამ მიმართულებით არსებული კიდევ უფრო დიდი პოტენციალი“, – განმარტავენ ადმინისტრაციაში.

გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა მიესალმება ისრაელის კომპანიების ინტერესს საქართველოში ინვესტირების მიმართულებით და მათი ხელშეწყობისთვის მზად არის.

„საუბარი შეეხო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარებას, რასაც საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს და დაინტერესებულია ამ მიმართულებით ისრაელის გამოცდილების გაზიარებით.

პრემიერ-მინისტრებმა ასევე ისაუბრეს უსაფრთხოების სფეროში ორ ქვეყანას შორის არსებულ თანამშრომლობაზე. ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა“.

* * *

სიხარულით **აღვნიშნავ, რომ ორმხრივი ურთიერთობები ისრაელსა და საქართველოს შორის სწრაფად ვითარდება, ხოლო მაღალი რანგის ვიზიტები კიდევ უფრო აძლიერებს ამ მუხტს,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან შეხვედრისას განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა ისრაელის პრემიერი საქართველოში მოიწვია.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, დიდი მადლობა მოწვევისთვის. ჩვენ განვიხილავთ ჩვენი სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს. ქართული მხარე ძალიან მოწადინებულია, გააღრმაოს ორმხრივი ურთიერთობები ამ განსაკუთრებულ ქვეყანასთან. როგორც თქვენ უკვე აღნიშნეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენი მეგობრული ერების 26-საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობები მკაფიოდ აღიბეჭდა ჩვენს ეროვნულ მეხსიერებაში. ებრაელებსა და ქართველებს შორის პირადი კავშირები და ურთიერთობები მართლაც სამაგალითოა. ამ მხრივ, 2017 წელი განსაკუთრებულია, რადგანაც სწორედ წელს აღინიშნება ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25-ე წლისთავი, მაგრამ ჩვენს ურთიერთობებს, როგორც უკვე აღინიშნა, საუკუნეების წინათ ჩაეყარა საფუძველი. ჩვენ ვამაყობთ ჩვენს ერებს შორის არსებული ამ განსაკუთრებული მეგობრობით. სიხარულით აღვნიშნავ, რომ ორმხრივი ურთიერთობები ისრაელსა და საქართველოს შორის სწრაფად ვითარდება, ხოლო მაღალი რანგის ვიზიტები კიდევ უფრო აძლიერებს ამ მუხტს. ქართული მხარე განუხრელად მიჰყვება ისრაელის სახელმწიფოსთან პარტნიორობის შემდგომი გაძლიერების გზას. ბატონი პრემიერ-მინისტრო, ნება მომეცით, მოგიწვიოთ საქართველოში, რათა თქვენ თავად იხილოთ ჩვენი ქვეყნის განვითარება და კიდევ ერთხელ შეიგრძნოთ ის დამოკიდებულება და სენტიმენტები, რომლებიც ქართველებს გაჩნიათ ებრაელი ხალხის მიმართ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებში შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. წარმატება მიღწეულია პრაქტიკულად ყველა სფეროში, იქნება ეს სოფლის მეურნეობა, მაღალი ტექნოლოგიები, უსაფრთხოება და, როგორც თქვენ უკვე ახსენეთ, ჩვენი ქვეყნები დგანან მსგავსი საფრთხეების წინაშე. ჩვენ მტკიცე მხარდაჭერას ვუცხადებთ თქვენს ხალხსა და სახელმწიფოს გრძელვადიანი სტაბილურობისთვის ბრძოლაში. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩვენი მთავრობისა და ხალხის მზადყოფნას ჩვენი ორმხრივი კავშირების გაღრმავებასთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ეს ვიზიტი არის შესანიშნავი შესაძლებლობა, განვიხილოთ ჩვენი სამომავლო თანამშრომლობის ძალიან საინტერესო პერსპექტივები“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ვეტოს არსი არის ის, რომ პარლამენტს დაფიქრების საშუალება მივცეთ...

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ანა დოლიძის განცხადებით, პრეზიდენტმა ვეტო იმ კანონებს დაადო, რომელიც დემოკრატიის მდგომარეობას აუარესებს.

დოლიძის განმარტებით, პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები ძირითადად ორ საკითხს ეხება.

„ეს არის შვიდი თვითმმართველი ქალაქისათვის თვითმმართველობის სტატუსის ჩამორთმევა და ცესკო-ში საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის ცვლილება, რომელიც უპირატესობას მმართველ პარტიას ანიჭებს.

ჩვენი აზრით, ორივე ცვლილებას ერთი მთავარი ხაზი გასდევს, ეს აუარესებს დემოკრატიის მდგომარეობას ქვეყანაში და წარმოადგენს უკან შემოტრიალებას თავად ოცნების მიღწევების, რომელიც მან გასულ წელს განახორციელა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველამ გაიაზროს ის ნეგატიური მნიშვნელობა, რომელიც ამ ცვლილებებს მოაქვს. ვეტოს არსი არის ის, რომ ეს ყველაფერი დასაბუთებით ავუხსნათ პარლამენტის წევრებს და მივცეთ საშუალება, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ ამ ცვლილებებზე“, — განაცხადა ანა დოლიძემ.

ყურადღებით გაეცანით პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საპარლამენტო კომიტეტებს მოუწოდებს, ყურადღებით გაეცნონ პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს. როგორც ბიუროს კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებზე პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები შესაბამის წამყვან კომიტეტებს განსახილველად დაუბრუნდათ.

საარჩევნო კოდექსის ცვლილებები იურიდიულ საკითხთა კომიტეტს გადაეცა, ხოლო თვითმმართველობის კანონში შეტანილი ცვლილებები — თვითმმართველობის კომიტეტს. გიორგი მარგველაშვილმა ვეტოს უფლებამოსილება პარლამენტის მიერ მიღებულ სამ კანონპროექტთან დაკავშირებით გამოიყენა.

პარლამენტი 26 ივლისს შეიკრიბება



„პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების განსახილველად პარლამენტი რიგგარეშე ფორმატში ქუთაისში ოთხშაბათს შეიკრიბება“, — ამის შესახებ ბიუროს დღევანდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

წინასწარი ინფორმაციით, მმართველი გუნდი ვეტოების დაძლევას აპირებს.

„საბოლოო პოზიცია გვექნება მას შემდეგ, რაც მოტივირებულ შენიშვნებს კომიტეტების სხდომებზე განვიხილავთ. რაც შეეხება იმას, რომ ვეტო პოლიტიკური პოზიციის დაფიქრების საშუალებაა, ეს ასე არაა. ვეტო პრეზიდენტმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა გამოიყენოს“, — აცხადებს ეკა ბესელია.

„ღირსეული პარტნიორი“ 2017 იწყება

„ღირსეული პარტნიორი 2017“ ოფიციალურად 30 ივლისს ვაზიანის აეროდრომზე გაიხსნება და სწავლების აქტიური ფაზა 12 აგვისტოს, ვაზიანის მე-11 სასროლეთზე საჩვენებელი წვრთნით დასრულდება.

„ღირსეული პარტნიორი 2017“ აშშ-ის ევროპული სარდლობის შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე სწავლებების ციკლის ნაწილია, რომელიც 7 ქვეყნის ტერიტორიაზე ტარდება. ამჟამად მიმდინარეობს საერთაშორისო სწავლებები SABER GUARDIAN 2017 ბულგარეთში, რუმინეთსა და უნგრეთში, ხოლო SEE BREEZE — უკრაინაში.

ამ სწავლებების გაგრძელებაა NOBLE PARTNER 2017.

„ღირსეული პარტნიორი 2017“ საქართველოში წელს უკვე მესამედ ტარდება და მიზნად სტაბილურობის, თავდაცვითი და შეტევით ოპერაციებში უნარჩვევების გაუმჯობესებას, ასევე აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებას, ნატოს რეაგირების ძალების (NRF) საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდას და NRF-ში მონაწილე დანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის გაღრმავებას ისახავს.

სწავლება კომპლექსურია და მისი სცენარი ითვალისწინებს სამეთაურო-საშტაბო და საველე სწავლებებს საბრძოლო სროლებით, სამანევრო და საბრძოლო მხარდამჭერი ელემენტების ურთიერთქმედებას თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში, მათ შორის აერომობილური ელემენტების გამოყენებასაც.

სცენარი განკუთვნილია ბრიგადისა და უფრო დაბალი (ოცეულის ჩათვლით) დონის ქვედანაყოფებისთვის თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციებისას გადაწყვეტილების მისაღებად მართვისა და კონტროლის სავარჯიშოებისთვის.

„ღირსეული პარტნიორი 2017“ საქართველოში პირველად 2015 წელს ჩატარდა, მასშტაბები გაიზარდა და წელს მასში ნატოს 5 წევრი და 3 პარტნიორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები მონაწილეობს — აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, სლოვენია, თურქეთი, უკრაინა, სომხეთი და საქართველო. სწავლებაში 2800-ზე მეტი სამხედრო მიიღებს მონაწილეობას. პირველად სწავლებაში გერმანული ჯავშანტრანსპორტიორი „ბოქსერი“ ჩაერთვება.

წვრთნაში წარმოდგენილი იქნება ასევე, ამერიკული ტანკები „აბრამსები“, ქვეითთა საბრძოლო მანქანები „ბრედლი“ და „სტრაიკერი“, ასევე C-130 ტიპის ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოიძახა

ПРЕЗИДЕНТИС ადმინისტრაციის უფროსის გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური მათივე თხოვნით შევიდა.

„აუდიტის სახელმწიფო სამსახური პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოვიდა ჩემი თხოვნის საფუძველზე გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვართ სახელმწიფო ხარჯებზე და მუდმივად ვკითხულობთ და გვაინტერესებს, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო ხარჯების გაუმჯობესება. შესაბამისად, ეს იყო მიზეზი, თუ რატომაც ვთხოვეთ აუდიტის სამსახურს შემოსვლა. რაც შეეხება აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება პრეზიდენტის სარეზერვო ხარჯებს, აქ არც ერთ შემთხვევაში არ არის საუბარი, რომ რაიმე ტიპის ხარჯი იყო არასწორად გაწეული. აქ არის სარეკომენდაციო ხასიათი, თუ ბიუჯეტის რომელი ნაწილიდან ჯობდა ხარჯის გაწევა. ორივე არის ბიუჯეტის ფული მოგეხსენებათ, უბრალოდ საუბარი იყო თუ ბიუჯეტის რომელი ნაწილიდან იქნებოდა უფრო ეფექტური ხარჯის გაწევა. ჩვენ დავეთანხმეთ, რადგან ეს არანაირი პრინციპული საკითხი არ იყო“, — განაცხადა აბაშიშვილმა.

პრეზიდენტმა „ჯიპას“ 282 ათასი ლარი გადაურიცხა

სახელმწიფო აუდიტის დასკვნის თანახმად, გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან „ჯიპას“ 282 ათასი ლარი გადაურიცხა.

პრეზიდენტმა 2015-2016 წლებში 7 პროექტი დაფინანსა. მათგან ყველაზე მეტი, 282 ათასი ლარი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ჯიპა) გადაეცა პროექტისთვის „სახელმწიფოებრივი მოწყობის საპრეზიდენტო კოლეგიუმი“.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული პროექტები:

აიპ „პლატფორმა ცვლილებისათვის“ — პროექტი “ სოფლის ფოტოკლუბი პანკისი“ — 19 ათასი ლარი;

აიპ „უსაფრთხო განვითარების ხიდი“ — პროექტი „გაძლიერდი და შეიცვალე“ — 13.9 ათასი ლარი;

აიპ კავშირი „საფარი“ — პროექტი „ადრეულ ქორწინებასთან ბრძოლის სტრატეგიის განსაზღვრა“ — 19,9 ათასი ლარი;

აიპ „აფხაზეთის ვირტუალური არქივი“ — პროექტი „აფხაზეთის ვირტუალური არქივი“ — 95,1 ათასი ლარი;

თსუ „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ — პროექტი „ქართულ-ოსური ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობისათვის“ — 58,8 ათასი ლარი;

აიპ „დემოკრატიის ლაბორატორია“ — პროექტი „მე და კონსტიტუცია“ — 120 ათასი ლარი;

აიპ „ საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი“ — პროექტი „სახელმწიფოებრივი მოწყობის საპრეზიდენტო კოლეგიუმი“ —282,3 ათასი ლარი.

ცნობისთვის, პრეზიდენტი „ჯიპაში“ 12 წლის განმავლობაში მუშაობდა, 2006-2010 წლამდე კვლევით დეპარტმენტს ხელმძღვანელობდა, ხოლო 2010-იდან 2012 წლამდე რექტორის თანამდებობა ეკავა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებისა და ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესწავლა თავად ადმინისტრაციის მოთხოვნით, განხორციელდა.

იან კელი: ეს არის ძალიან მტკიცე სიგნალი ჩვენი ძლიერი მხარდაჭერისა საქართველოს მიმართ!

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი არის მტკიცე სიგნალი ჩვენი ძლიერი მხარდაჭერისა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, — აცხადებს აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი.

„ეს არის ძალიან მტკიცე სიგნალი ჩვენი ძლიერი მხარდაჭერისა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ. ამ მნიშვნელობას აძლიერებს ასევე ის, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობს ორმხრივი სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი“, რომელიც მნიშვნელოვანია. ზოგადად, ეს ვიზიტი არის გაგრძელება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც მაისის თვეში შედგა. ეს ვიზიტი გაგრძელებაა იმ საკითხებისა, რომელის აშშ-ში იქნა განხილული“, — განაცხადა იან კელიმ. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი საქართველოს ორდღიანი ვიზიტით 31 ივლისს ესტუმრება.

* * *

კონგრესის მიერ მომზადებული კანონპროექტი ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ინტერესების დასაცავად არის მიმართული, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა იან კელიმ აშშ-ის კონგრესის მიერ შეთანხმებულ კანონპროექტზე კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, კონგრესის მიერ მომზადებულ კანონპროექტში მოხსენიებული ქვეყნები გამოირჩევიან გამუდმებული მცდელობით, დაარღვიონ სხვა ქვეყნის სუვერენიტეტი.

„ჯერ ეს არ არის კანონი. კენჭი უნდა ეყაროს და შემდეგ ხელი მოაწეროს პრეზიდენტმა, თუმცა ეს არის ძალიან მტკიცე და ნათელი გამოხატულება, თუ რა განწყობა არის ამერიკაში მათ მიმართ, ვინც ცდილობს, ჩაერიოს ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებში და დაარღვიოს ქვეყნის სუვერენიტეტი. განსაკუთრებით ის ქვეყნები, რომლებზეც საუბარია ამ კანონპროექტში, გამოირჩევიან, გამუდმებით აქვთ მცდელობა, დაარღვიონ სხვა ქვეყნების სუვერენიტეტი და ზუსტად ეს არის ამის საპასუხო ქმედება. ჩვენ საქართველოს მთავრობასთან გვქონდა მჭიდრო კავშირი და განვიხილეთ ის საკითხები, რომ აღნიშნულმა არ დააზიანოს რაიმენაირად ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ინტერესები. პირიქით ეს მიმართულია მათ დასაცავად“, — განაცხადა ელჩმა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ შეთანხმებულ კანონპროექტში, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ითვალისწინებს, საქართველოზეც არის საუბარი.

ხელუხლებელი ბიძინა ივანიშვილი...

რა აუკრძალა დასავლეთმა 2011 წელს პროვოკატორ სააკაშვილს?

რატომ საუბრობს მიშა იმაზე, რაც მანამდე არ უთქვამს?

როგორც ყველამ ვიცით, პეტრო პოროშენკოს ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, მიხეილ სააკაშვილმა ინტერვიუ „ჩაწერა“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან. დამკვიდრებული კლიშეს მიუხედავად, „ჩაწერა“ მაინც უკეთ ჟღერს, ვიდრე „მისცა“. ამ ინტერვიუს მთავარი მოტივი სწორედ პოროშენკოს დაგეგმილი სტუმრობა იყო, რადგან სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რომ (უკვე) მის მთავარ მტრად ქცეული პრეზიდენტის ჩამოსვლა თბილისში აუცილებლად იქნება განხილული საქართველოში აღძრული სისხლის სამართლის საქმეების კონტექსტში, რომელთაგან „კოსტიუმები“, რაც მან ახსენა, ჯერ ერთი, მარტო კოსტიუმებიც არ არის და არც თუ ყველაზე მძიმე საქმეა – არის კიდევ „გირგვლიანთან“ დაკავშირებული ქეისი, სანდრას შეურაცხყოფისთვის ბიზნესმენ-დეპუტატ გელაშვილის „მისიკვდილების“ ქეისი, 26 მაისის მიტინგზე ძალის აშკარად გადამეტებით გამოყენება გასასვლელების ჩაკეტვით და ა. შ.

ლაპარაკი სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევასა და მის ექსტრადირებაზე სრული სისულელეა: უკრაინის სახელმწიფო ასეთ პრეცედენტს, მით უმეტეს სააკაშვილისთვის, ნამდვილად არ შექმნის. მაგრამ ცოტა თუ სვამს კითხვას: შესაძლებელია თუ არა, უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი უკრაინაშივე გაასამართლონ საქართველოს პროკურატურის მიწოდებული მასალების შესაბამისად?! თეორიულად, რასაკვირველია, შეიძლება. საერთაშორისო სამართალი ასეთ შესაძლებლობას რომ არ ითვალისწინებდეს, მაშინ მართლმსაჯულებაც არ იარსებებდა. თუმცა ესეც ძალიან საეჭვოა, რაკი პოროშენკოს პარტია ამჟამად საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და პოლიტიკური ოპონენტის ასე საჯაროდ, ღიად დასჯა არ აწყობს

* * *

სინამდვილეში, ამ ტელეინტერვიუს ბევრად უფრო საინტერესო მომენტი იყო მიხეილ სააკაშვილის მოგონებები 2008 და 2011 წელზე, ანუ რუსეთის აგრესიასა და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის პერიოდზე.

მიშამ ძალიან კარგად იცის: 2008 წლის კატასტროფული, თანაც საშინლად სამარცხვინო დამარცხება იყო მთავარი მიზეზი იმ პოლიტიკური „მატრიცის“ შექმნისა, რამაც საბოლოოდ ძალაუფლება დააკარგვინა. ამდენად, 2008 წლის თემას იგი არ მოეშვება და მუდამ შეეცდება პირდაპირ თუ არა, ქარაგმულად მაინც თქვას, რამ აიძულა მაშინ (7 ივლისს, დაახლოებით დღის 12 საათზე) მიეღო გადაწყვეტილება ცხინვალზე სრული ძალით შეტევის შესახებ.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკოს მიშა სააკაშვილს აქვს ერთი თვისება, რაც მას კარდინალურად განასხვავებს სხვა ქართველი პოლიტიკოსებისგან: სააკაშვილი არის ერთადერთი (!) ქართველი პოლიტიკოსი, ვისაც ქართული ბეჭდური მედიისათვის არც ერთხელ (!) ინტერვიუ არ მიუცია. უცხოურისთვის – რამდენიც გნებავთ, ქართულისთვის – არც ერთი! რატომ? ერთი შეხედვით მართლა უცნაურია და „სიყვითლისადმი ზიზღის“ არგუმენტად მოტანა სასაცილო იქნებოდა. სინამდვილეში მიზეზი ისაა, რომ ვერბალური ინტერვიუს ფორმატი უშვებს საზრისთა, დებულებათა, არგუმენტთა, ანუ ფრაზეოლოგიის „აღრეულობას“. ამ მხრივ, ვერბალური ინტერვიუ მუდამ უფრო „თავისუფალია“, ვიდრე დაბეჭდილი: რესპონდენტს შეუძლია რაღაც აზრი არ დაასრულოს, სხვა დებულებაზე „გადახტეს“ უცბად, კითხვას ან საერთოდ არ უპასუხოს, ან სულ სხვა თემაზე დაიწყოს საუბარი და ა.შ. „დაწერილი“ კი იოლად „იშიფრება“ და ეს ეშმაკობები კარგად ჩანს.

მიშა სააკაშვილი ძალიან გაიძვერა, პოპულისტი პოლიტიკოსია და ამას მუდამ ხვდებოდა. მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ პრეზიდენტი არ იყო. ამიტომ მისი იმდროინდელი (1995-2003 წ.წ.) „ბეჭდური“ ინტერვიუები დიდი იშვიათობაა...

რაც შეეხება „რუსთავი-2“-ს, ყოფილი პრეზიდენტი სხვა ყველა ტელეკომპანიას მუდამ უარს ეუბნება. ოღონდ იმ ინტერვიუზე ოღონდ იმიტომ კი არა, თითქოს „არ სჭირდება“, ან კითხვებს ჩვეული ოსტატობით ვერ უპასუხებს თუნდაც „ჰარდთოლქის“ რეჟიმში: უბრალოდ, „თავისი“ ტელევიზიის გაძლიერებას ცდილობს, რადგან სააკაშვილთან ექსკლუზივები ამ ტელეკომპანიის მნიშვნელოვანი რესურსია... სხვა უდავო რესურსებთან ერთად, რასაკვირველია.

* * *

მაშ ასე. რა თქვა სააკაშვილმა ამ ტელეინტერვიუში 2008 წელზე ისეთი, რაც მანამდე (ასე) არ უთქვამს? ნამდვილად თქვა! თანაც, ძალიან მნიშვნელოვანი რამ; თქვა „ისე“, „როგორც“ არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა „ბეჭდურ“ ინტერვიუში, რადგან „ნაბეჭდის“ ანალიზი, „ფანქრით ხელში“, გამოააშკარავებდა იმ „ტექნოლოგიებს“, რაც „ნარატიულ ფორმატში“ ასე თვალსაჩინოა, ეფექტური არ არის.

მოკლედ თუ ვიტყვით, სააკაშვილის არგუმენტაცია (რასაც შინაარსობრივად შეუძლებელია არ დაეთანხმო), ასე გამოიყურება „ნაბეჭდი“ სახით, თუ მისი „პოპულისტური“ ენიდან „გადმოვთარგმნით:

„2008 წლის 7 აგვისტოს აღმოვჩნდი არჩევანის წინაშე „ცუდსა“ და „უარესს“ შორის.... „ცუდი“ იყო ის, რაც მოხდა, „უარესი“ კი ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო: თუ მე არ გავცემდი ბრძანებას, ქართულ არმიას დაეწყო მასშტაბური შეტევა ცხინვალზე და მთელს „სამხრეთ ოსეთზე“, მაშინ ოსური (!) შეიარაღებული ფორმირებები აიღებდნენ ალყაში მოქცეულ ლიახვის ხეობას, მოაწყობდნენ იქ ეთნოწმენდას, გამოყრიდნენ იქიდან ქართველებს... ეს ლტოლვილები ჩამოვიდოდნენ თბილისში, დაადანაშაულებდნენ ხელისუფლებას, მათ აუცილებლად აყვებოდა ოპოზიცია („ზუსტად ის ხალხი, ვინც ომის დაწყებაში გვადანაშაულებს, მაშინ დაგვადანაშაულებდა თუ რატომ არ დავიცავით ლიახვის ხეობა“), დაიწყებოდა ქუჩის აქციები, დესტაბილიზაცია, მოხდებოდა არმის დემორალიზება... ამით ისარგებლებდა იგივე ოსური მხარე, რუსი კომბატანტებისა და ოსი სეპარატისტების ე.წ. „მოხალისეთა“ ლაშქარი შემოვიდოდა თბილისში (!), მე დამამხობდნენ ან ოპოზიციის აქტიურობით, ან იგივე „ლაშქრით“... ხოლო დასავლეთი „მხრებს აიჩჩდა“, რაკი რუსეთი პირდაპირ აქტიურად არ იქნებოდა ჩარეული, როგორც ღიად არ იყო ჩარეული თავის დროზე აფხაზეთის ომში და ვერანაირ დასავლურ მხარდაჭერას ვერ მივიღებდით, როგორც ვერ მივიღეთ აფხაზეთის ომის დროს, როცა რუსეთი ღიად „არ ჩანდა“.... ამიტომ, მკაფიო დასავლური მხარდაჭერის მისაღებად, აუცილებელი იყო ისეთი აქცია მოგვეწყო, რაც აიძულებდა რუსეთს, ემოქმედა ღიად, დაუფარავად, გახსნილად და არა „პროქსი“ ვითომ „ოსურ-კაზაკური“ ფორმირებების ხელით, როგორც აფხაზეთში მოქმედებდა 1993 წელს „პროქსი“ აფხაზურ-კაზაკურ-ჩრდილოკავკასიური ფორმირებების მეშვეობით... ჩემმა ბრძანებამ ცხინვალზე სრული ძალით შეტევის შესახებ გამოიწვია მსხვერპლი ე.წ. „რუს სამშვიდობოებში“ და მოსკოვი იძულებული გახდა ღიად ჩარეულიყო... შედეგად, დასავლეთმა „გაიღვიძა“ და გადავრჩით „უარესს“, თუმცა მივიღეთ „ცუდი“.

სააკაშვილი ამას პირველად არ ამბობს. თუ გახსოვთ მან ერთხელ (მხოლოდ ერთხელ) თქვა სადღაც 2009 წელს: „ბევრს არ ესმის – მაშინ იყო საშიშროება, თბილისზე აღმართულიყო ოსური (!) დროშაო“.

* * *

2008 წლის 7 აგვისტოსთვის შექმნილი ვითარების უემოციო, „ცივი გონებით“ ანალიზი ადასტურებს, რომ მიშა ამ შემთხვევაში ამბობს სრულ სიმართლეს! – იმ მომენტისთვის ომი (უკვე) მართლაც იყო აბსოლუტურად გარდაუვალი და ხელისუფლება მაშინ (უკვე) ნამდვილად იდგა ასეთი არჩევანის წინაშე – „ცუდსა“ და „უარესს“ შორის.

სხვა საქმეა, რომ თვით „7 აგვისტოს“ ვითარებამდე ძვეყანა მივიდა იმ ავანტიურისტული, პროვოკაციულ-კონფრონტაციული (რად ღირს თუნდაც ანტიმოსკოვური „რევოლუციების“ მოწყობა ან მცდელობა უკრაინაში, ყირგიზეთში, ბელორუსში, ბოლოს კრემლთან), აროგანტული, ზერადიკალური, დაუბალანსებელი პოლიტიკის შედეგად, რასაც „თბილისი“ ატარებდა მოსკოვის მიმართ 2004 წლიდან – პირველი უკრაინული „მაიდნის“ მომენტიდან, რაც კრემლში აღიძვეს, როგორც ეგზისტენციური გამოწვევა.

* * *

მეორე საინტერესო „ვერბალური“ მოგონება უკავშირდება 2011 წელს. მიხეილ სააკაშვილმა, ფაქტობრივად, აღიარა (პირველად), რომ იგი თავად და მისი „გუნდი“ მაშინ მსჯელობდნენ ბიძინა ივანიშვილის ან დაპატიმრების ან ქვეყნიდან „გაძევების“ შესაძლებლობაზე.

ისევ და ისევ: რაც ექსპრეზიდენტმა ამ თემაზე საუბრისას თქვა, „დაწერილ“ ინტერვიუში სულ სხვა ელფერს შეიძენდა. ამიტომაც არ უყვარს ქართული (!) ბეჭდური მედიისთვის ინტერვიუს „მიცემა“: აბა „გაშიფრეთ“ ეს ვერბალური იტერვიუ სიტყვასიტყვით და სცადეთ მისი „გალიტერატურულება“, რამდენად დაულაგებლად, აბურდულ-დაბურდულად, წინააღმდეგობრივად, მთლიანობაში აბსურდულად და არადამაჯერებლად მოგეჩვენებათ ის, რაც ვერბალურად „ისმის“ და ასე თუ ისე „ჟღერს“.

თუმცა, უფრო საინტერესო სხვაა: რამდენად შეძლებდა მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილსაც მოქცეოდა ისე, როგორც მოექცა 2007 წელს ბადრი პატარკაციშვილს? ფორმალური საბაბი მოიძებნებოდა: ივანიშვილი მართლა აღარ იყო საქართველოს მოქალაქე, რაკი აღმოაჩნდა საფრანგეთის მოქალაქეობა, რის შედეგადაც სრულიად კანონიერად ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა პრეზიდენტმა სააკაშვილმა! ისევე, როგორც იმავე მიზეზით, ანუ უკრაინის მოქალაქეობაში შესვლის გამო, სრულიად ლეგიტიმური იყო საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა თვით სააკაშვილისთვის 2015 წელს.

უცხო ქვეყნის მოქალაქე ივანიშვილის „ბინადრობის“ უფლებას კი განსაზღვრავდა საქართველოს კანონმდებლობა, რომელშიც სულ იოლად შეიძლება მოიძებნოს „ინსტრუმენტი“ არასასურველი უცხოელის გაძევებისთვის.

გარდა ამისა, ივანიშვილის (როგორც მინიმუმ) ქვეყნიდან დეპორტაციის ფორმალურ-იურიდიულ საფუძველს აშკარად ქმნიდა ის, რომ საქართველოს კანონმდებლობა უკრძალავს უცხოელს პოლიტიკურ საქმიანობას. მით უმეტეს ამ საქმიანობის დაფინანსებას, პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას და ა.შ.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას: მიშას რომ მაშინ (2011 წლის დეკემბერში ან 2012 წლის გაზაფხულზე) ბიძინა საქართველოდან გაეძევებინა, მიხეილ სააკაშვილი დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი იქნებოდა მისივე „განახლებული“ კონსტიტუციით... და ვერანაირი „ციხის კადრები“ – „ობლად დარჩენილ“ ოპოზიციას 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ვერ მოაგებინებდა.

* * *

რატომ ვერ გააკეთა ეს სააკაშვილმა? რატომ ვერ გაბედა ივანიშვილის გაძევება? ქართველი საზოგადოების რეაქციის და საქართველოში ივანიშვილის ავტორიტეტის შეეშინდა? რა სისულელეა! ნამდვილი და ერთადერთი მიზეზი იყო ის, რომ დასავლეთმა აუკრძალა!!!

მაშინ ამერიკაში უკვე ობამა იყო პრეზიდენტი, უკრაინის მოვლენებამდე კიდევ 2 წელი რჩებოდა, ევროპელები (პირველ რიგში გერმანია) სააკაშვილს 2008 წელს „რუსეთთან ომის პროვოკატორად“ თვლიდნენ, ანუ საქართველოს ხელისუფლებაში მისი დარჩენა ვაშინგტონს, ბერლინს და პარიზს უკვე აღარ უნდოდათ. ამიტომაც აგრძნობინეს მკაცრად (განსხვავებით პატარკაციშვილის ეპიზოდისგან) – ბიძინა ივანიშვილისთვის ხელი არ ეხლო!

არც „ახლო ხელი“ და დღეს კიევიდან „აძლევს“ ვერბალურ ინტერვიუებს. თუმცა... მისი ფანატიზმისა და პათოლოგიური ენერგიის გათვალისწინებით, პოლიტიკურ გვამად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

ნიკა იმნაიშვილი

მუხრანელებს საძოვარი უჭირთ, ეკონომიკის სამინისტრო კი კერძო პირზე 1003 ჰექტარ მიწას ყიდის!

ღია გზავნილი ბატონ დავით სახანაშვილს, ანუ სახელმწიფო მოხელეთა ყურმისაპყრობად ნათქვამი

„რძალო, შენ გეუბნები და მულო, შენ გაიგონეო“, სწორედ ესაა ჩემი ნათქვამის მიზანი, მაგრამ არც ის გახლავთ გამორიცხული, ბატონო დავით, რომ რძალიც ყრუ გამოდგეს და მულიც. დიახ, ბატონო დავით, ქვეყანა რომ ჭრელი არ იყოს, როგორიც სინამდვილეში გახლავთ, ან მე რა მრჯის თქვენს შესაწუხებლად, ან ათასობით მკითხველს რას ვემართლებით, ისედაც ყელამდე შეჭირვებაში მყოფთ, ჩვენი ამბავი არ მოვახვიოთ თავს? ისე, მოუსვენარია, ბატონო დავით, ჩვენი მოძმე. ზოგი თავისი ნებით, ზოგიც — სხვათა შეგულიანებით იმოკლებს სიცოცხლეს ათასობით სისულელის ჩადენით და მამაძაღლობით. ეს რომ ასე არ იყოს, თქვენ, რომელიც მიწას ერთხელაც არ მოფერებიხართ, კავით არ აგიჩიჩქნავთ, თოხით არ გაგიღვიძებიათ, ცელით არ მოფერებიხართ, რა ჯანდაბა გრჯიდათ ასობით ჰექტარი მიწის შესაძენად.

გარდა ამისა, სასიხარულო ფაქტად მივიჩნევ, თქვენს სეხნიობას და წარმოიდგინეთ, რა დიდი სიხარულით გესაუბრებით. ისე, ჩვენში დარჩეს და, პატარა ლირიკულ გადახვევას მთხოვს გული. ისტორიულ წარსულს მინდა, შევეხო. რომ გითხრათ „ხანების“ სიყვარულით ვდნები-მეთქი, სიცრუე გამომივა. აღამაჰმად-ხანმა თბილისი რომ ააოხრა, ე, მაშინ დიდი პაპის პაპა მომიკლეს... მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე კი, რუსის მამათმავალმა გენერალმა, ალიხანოვმა მთლად გადაბუგა ჩემი საყვარელი გურია და ჩემი დიდი პაპაც იმსხვერპლა. ასე რომ, ალბათ დამერწმუნებით, „ხანის“ შვილებისა იქნებიან ისინი, ალისა თუ მაჰმადისა, ჩემი მოსისხლე მტრები გახლავთ და ჩემი სიდუხჭირეც იქიდან მოდის.

პარალელები ვახსენე წელან, ჰოდა მივყვეთ პარალელებს. დავითები რომ ვართ ამის შესახებაც ვთქვით გაკვრით. ახლა მიწაც რომ გვყვარებია ორივეს? ცოტაა ეს? ჰოდა, ამ სანუკვარი მიწის ძიებამ მუხრანს ჩამოგვაგდო ორივე. ამაზე იტყვიან, სად ერეკლე და სად აქლემის გალიაო. ან მე რა მინდოდა ბაგრატოვანთა სამფლობელოში, ან თქვენ რა დაგრჩენიათ იქ. თუმცა, როგორ თუ რა დაგრჩენიათ. ახლა რომ მონარქია აღვადგინოთ, არადა, ქართველთა ხუშტურებს რომ ვიცნობ, ეს შეიძლება, წუთიწუთზე მოხდეს, მეფეს საბაღჩედ მესამედ ჰექტარს ვერ გამოვუყოფთ. ბატონო დავით, თქვენ და ორ-სამ საქმოსანს (არ იფიქროთ, რომ საქმოსანს იმიტომ ვამბობ, რომ ბიზნესმენის სახელი არ ვიცოდე, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენებური საქმოსნების ხლართვა, დიახაც რომ არ შეესაბამება ბიზნესმენის კლასიკურ გაგებას), იმდენი მიწა გაქვთ მუხრანში შეძენილი, ვაი, რომ გამეფების მსურველი, მიწის თვალსაზრისით, სულაც ცარიელზე დაგვრჩება. ახლა მოსახლეობის გაჭირვებას არ იკითხავთ?! თქვენისთანა ვაი-მეპატრონეების ხელში, ძროხა კი არა, ხბო ვერ უძოვებია აქაურ გლეხკაცს. აი, პარალელისა თუ დამთხვევის პირველი და უმთავრესი მონაცემები: 2014 წლის 27 ოქტომბერს თქვენ განცხადება შეიტანეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მაშინდელი მინისტრის, ბატონი გიორგი კვირიკაშვილის სახელზე. განცხადებით ითხოვდით, რომ მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში გსურდათ შეგეძინათ ათასი, დიახ, ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ბატონმა კვირიკაშვილმა და მისმა უწყებამ არ იძუნწა და 1000 ჰექტარს 3 ჰექტარიც დაუსართა. თქვენ კი იმის ნაცვლად, რომ მიწას მოფერებოდით და ხალხის სამსახურში ჩაგეყენებინათ, მიაგდეთ იგი სარფიანი მუშტრის მოლოდინში. ახლა, პარალელის მეორე მხარე, ანუ ჩემი ხვედრი. იმავე წლის, იმავე თვის ორი დღის დაგვიანებით მივმართე იმავე სამინისტროს იმავე მინისტრს და ვთხოვდი დამხმარებოდნენ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში ახლად ჩამოყალიბებული კოოპერატივისთვის გამოეყოთ 3 ჰექტარი, დიახ, დიახ, სამი ჰექტარი მიწის ფართობი, ისიც, ჩემი ბაბუის მამულებიდან. განცხადების გაგზავნიდან ზუსტად ერთი თვისა და 27 დღის გასვლის შემდეგ მივიღე არა ბატონი კვირიკაშვილის, არამედ სამეგრელო-გურია-ზემო-სვანეთის ბიუროს უფროსის, უფალი გოჩა კანკავას პასუხი, რომელიც მაცნობებდა, რომ „...საქართველოში მიწის გასხვისება შეჩერებულია“. სხვათა შორის, ბატონი კანკავა იმედს არ მიკარგავდა და ამ წერილის შემდეგ თითქმის ყოველი თვის ბოლოს მიგზავნიდა არაფრისმთქმელ წერილებს (სულ რვა ცალი დამიგროვდა)

დიახ, ბატონო დავით, თქვენ აღნიშნული 1003 ჰექტარი მიწის ფართობი ჯერ თქვენსავე შპს „ვექტორიუმზე“ (საკადასტრო კოდი 720926019) გადააფორმეთ. მე კი უარმიღებულმა მივყიდ-მოვყიდე ახლად დაარსებული კოოპერტივი და აღებული თანხით შევიძინე მცირედი ეზო-კარი სოფელ მუხრანში, სადაც გავიგე თქვენი და თქვენი მშველელის, ანუ საქმიანი დამხმარის ოინები.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ჩვენ, ქართველები, მუდამ ფანტიაშვილები ვიყავით და თუ ღმერთი დაგვაცლის, ალბათ, ასეთებად დავრჩებით.

რაც შეეხება ქვესათაურში გამოყვანილ „ანუს“ შემდეგ ნათქვამს: თქვენ ახლა ზიხართ, ალბათ, ფეშენებელურ სასახლეში და თქვენი დამხმარით დაიმედებული ელოდებით დიდფულიან მყიდველს, რათა გაასხვისოთ ჩემი წინაპრების ძვლებით გაპოხიერებული მიწები. დიახ, გაასხვისოთ და თანაც მამასისხლად. განა თქვენ თუ არა, თქვენს დამხმარეს დაეყვედრება? იგი ხომ ახლაც თავდადებით იბრძვის, რათა პარლამენტში არ დაკანონდეს ქართული მიწის არგასხვისება.

პატივისცემით თქვენი
მონა-მორჩილი
დავით ასკურავა.

P. S. წერილი გამზადებული მქონდა, რომ ერთ-ერთმა მეზობელმა გამაფრთხილა: ფრთხილად იყავი, მაგ მიწას იმოდენა თავები აბია, შენ შენი კალმითა და გაზეთით გადაგყლაპავენო. ჩემი გადასასვლა იქნებ არც ისე ძნელი იყოს, მაგრამ ჩემს ასაკში რომ ძალიან არ უფრთხილდებიან სიცოცხლეს, ცხადია ეს. თანაც გაზეთი არ გახლავთ ის ხვითოსასუსნავი, ყელზე რომ არ დაადგეთ.
დ. ა.

დიდუბეში ახალი საბავშვო ბაღი შენდება

თბილისის მერი დავით ნარმანია დიდუბის რაიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო. ახალი ხუთჯგუფიანი ბაღი ზუგდიდის ქუჩის №3-თან შენდება. პროექტისთვის 1 019 $მ^2$ ტერიტორიაა გამოყოფილი.

„კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დავიწყეთ და პროცესი ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს. ეს არის საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული უბანი და, პარალელურად, შენდება სკოლაც. სკოლა და ბაღი — ერთ კონცეფციაში, ძალიან მარტივი და მოსახერხებელი იქნება ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. შესაბამისად, კიდევ ერთი კარგი საქმე კეთდება უბნისთვის, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდა საბავშვო ბაღის პრობლემა,“ — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მშენებარე ბაღის პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია დავით ნარმანიას თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამ მიაწოდა. მისი თქმით, დიდუბის რაიონში მოთხოვნა საჯარო ბაღებზე ძალიან დიდია, რასაც ბაღების არსებული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს, სწორედ ამიტომ, ქალაქის გადატვირთულ რაიონში მოხერხდა გარკვეული ტერიტორიის მოძიება, სადაც ახალი, ხუთჯგუფიანი საბავშვო ბაღი აშენდება. ამავე მიზეზით, საბავშვო ბაღის პროექტი განსაკუთრებულია — ის მწვანე სახურავის პრინციპით მოეწყობა — სათამაშო მოედანი და მწვანე სივრცე შენობის სახურავზე განთავსდება.

ბაღში ერთი ბაგის და ოთხი 3-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი იქნება. დასაქმდება 35-მდე ადამიანი. ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობასთან ერთად, ზუგდიდის ქუჩაზე საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს. 1 050 $მ^2$ ფართობზე ასფალტის ახალის საფარი იგება. სამუშაოების დამკვეთი დიდუბის რაიონის გამგეობაა.

„ეს არის უსისტემოდ განლაგებული ბაზრობა!“

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, ელიავას ბაზრობის საკითხზე გასათვალისწინებელია როგორც კერძო მესაკუთრის, ასევე საზოგადოებრივი ინტერესიც.

„ამ შემთხვევაში, ორივე მხარის პოზიციის გათვალისწინებაა საჭირო. ბუნებრივია, ქალაქმა უნდა მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობის ინტერესებში შედის, მაგრამ ეს არ ნიშნავს კერძო ინტერესების უარყოფას. ამიტომ ჩვენ თბილისის გენგეგმის საჯარო დოკუმენტის განხილვას გავაგრძელებთ. თუ ვინმეს ზემოდან გადაუვლია თვალი ელიავას ბაზრობისთვის, ეს არის ქალაქის ერთ-ერთი ლამაზ რაიონში უსისტემოდ განლაგებული ბაზრობა და, ბუნებრივია, მას სისტემატიზაცია აუცილებლად დასჭირდება. დიდი ბრენდები ევროპაში ტენდენციას ამჟღავნებენ, რომ გავიდნენ ქალაქგარეთ. ელიავას ბაზრობაზეცაა ერთ-ერთი დიდი ბრენდი, რომელსაც არ დავასახელებ, მასაც სურს, გარეუბანში გადავიდეს“, — აღნიშნა ალიბეგაშვილმა.

„მოითხოვეს ქართული“ და დაჯილდოვდნენ...

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა გუშინ ქართული პროდუქციის პირველი დაგროვებითი ბარათის „მოითხოვე ქართული“ ერთგული მომხმარებლები დააჯილდოვა.

დაჯილდოების ცერემონია პროექტის „მოითხოვე ქართული“ ფარგლებში უკვე მეორედ გაიმართა და მას გალერეა „ვაჩემ“ უმასპინძლა, რომელიც აღნიშნულ პროექტში ჩაერთო.

დაგროვებით ბარათზე დაგროვებული „ქართულების“ მიხედვით 8 გამარჯვებულს „ქართული პროდუქციის ერთგული მომხმარებლის“ სერტიფიკატი საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერით პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა და თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძემ გადასცეს. გამარჯვებულებს გიორგი აბაშიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის სახელით პროექტში ჩართვისა და მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა.

რაც კარგია, კარგია!

„ლიბერთი ბანკი“ ტრადიციას არ ღალატობს...

ჩვენი გაზეთის ბოლო ნომერში დაიბეჭდა პენსიონერ ლამარა ჯალაღანიას წერილი, რომელიც ამბობდა, თითქოს, „ლიბერთი ბანკი“ პენსიის შინ მიტანის სერვისს უახლოეს ხანში გააუქმებდა.

გუშინ რედაქციამ „ლიბერთი ბანკისგან“ პასუხი ოპერატიულად მიიღო, სადაც ნათქვამია:

„თქვენი გაზეთის ბოლო ნომერში გამოქვეყნდა პენსიონერი ქალბატონის ლამარა ჯალაღანიას წერილი. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

„ლიბერთი ბანკი“ შეუფერხებლად ახორციელებს პენსიის სახლში მიტანის სერვისს მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, ვისაც საცხოვრებელ ადგილზე საპენსიო თანხის მიწოდება ეკუთვნის“.

თვითონ ფაშისტი ლიბერასტების ელეთმელეთი

„ქართულმა მარშმა“ ელეთმელეთი დამართა ჩვენს ლიბერასტებს, რომლებიც, ვიმეორებ, მტკიცე ფიცით არიან გაერთიანებული „ძრვენიჭამია“ ორგანიზაციებში — პარტიებსა და ასო-ებში. ეს კარგად გამოჩნდა მათ გაწიწმატებულ-განწირულ ღნავილში და სასაცილოდ უმწეო არგუმენტებში: არალეგალური მიგრანტებისა და ნაცების მიერ დატოვებული მოღალატური საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა რუსეთის მიერ ინსპირირებული აქცია იყოო. ვაი, თქვენს პატრონს-თქო, შევძახე ტელეეკრანს, მაგრამ რას გავაგონებდი ტელეეკრანზე გამოჭენებულ ამ ცალტვინა ლიბერასტებს. აშშ-ში და ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში რომ იმართება ასეთი მარშები (ჩვენსავით მშვიდობიანი კი არა, ჰამბურგში რომ გაიმართა ისეთი!), თვით აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი, უნგრეთის პრეზიდენტი ორბანი და ბევრი სხვაც, რომ რადიკალურ განცხადებებს აკეთებენ არალეგალური თუ ლეგალური მიგრანტების მოძალებაზე, ესეც რუსეთის მიერ არის დაგეგმილ-განხორციელებული?

ᲓᲘᲐᲮ, ამ სტატიის რუბრიკა მოწოდებაა, თანაც ძალიან ჰგავს ლოზუნგს, რომელმაც მე-20 საუკუნეში მსოფლიოს სოციალურად დაჩაგრული მილიონობით ადამიანის გონება აღანთო და გულს იმედი ჩაუსახა, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში მთლიანად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური პროფილი.

დღეს ეს მოწოდება არა ძალადობისაკენ, არა რევოლუციისაკენ არის მიმართული, არამედ იმ ძალთა გაერთიანებისაკენ, რომლებსაც სამშობლო უყვართ და მზად არიან დაიცვან ის იდეალები, რამაც დღემდე მოგვიყვანა, რაც საფუძვლად დაედო დიდ ქართულ კულტურას და ქართველს ქართველობა არ დააკარგვინა ისტორიულ ქარტეხილებში, მრავალსახოვან და მრავალფეროვან საკაცობრიო ოჯახში თავისი ღირსეული ადგილი შეუნარჩუნა დღემდე.

ეს მოწოდება უაღრესად აქტუალურია დღეს იმიტომ, რომ ანტიეროვნული, ანტიჰუმანური, უზნეო ძალები გაერთიანებულნი არიან პარტიებსა და ბლოკებში, ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციებში და სწორედ ამ ერთიანობაშია მათი ძალა და სასიცოცხლო ენერგია. აბა, ვის უნახავს ან გაუგონია ერთი ადამიანის ხულიგნობა? ერთი კინკილა, ჭკუანაღრძობის ხულიგნობას დიასახლისი დედაკაცებიც კი ადვილად აღკვეთენ და სამუდამოდ დაუკარგავენ ანტისაზოგადოებრივი გამოხდომის სურვილს იმ უბედურს.

კაცობრიობის საუბედუროდ, სატანისტური ძალები დასაბამიდან დღემდე ყველაზე დემაგოგიური, ნარკოტიკივით გამაბრუებელი ლოზუნგით მოდიან. ეს არის პიროვნების სრული თავისუფლებისაკენ მოწოდება, რაც ყველა რევოლუციის დროშაზე ეწერა ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში.

დიდმა მოაზროვნემ, ჩვენი მედასავლეთეებისაგან განსხვავებით, ნამდვილმა ევროპელმა და ევროპული აზროვნების უბადლო მცოდნემ ჟან პოლ სარტრმა ადამიანს „თავისუფლებით დაწყევლილი“ უწოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც კი სრულ თავისუფლებას მოიპოვებს ადამიანი, იგი უკვე აღარ არის სოციალური ფენომენი და მას როგორც ბიოლოგიურ არსებას, მომავალი არ აქვს.

აქეთ ექაჩებიან ანტიადამიანური ძალები კაცობრიობას. კარამაზოვების უმცროსი ძმისა არ იყოს, „ღმერთი არ არის?! მაშასადამე, ყველაფერი დასაშვებია!“ ღმერთი აქ ზნეობის სიმბოლოა. ჰოდა, თუ ყველაფერი დასაშვებია, მაშინ გავაკეთოთ ის, რაც ყველაზე სასიამოვნოა.

აი, ამ იდეოლოგიით აბრუებენ ხალხს კაცობრიობის მტრები ჩვენში და სხვაგანაც! ამიტომაა ასეთი აღტყინებით რომ მოითხოვენ ნარკოტიკების მოხმარებისა და სქესობრივი აღვირახსნილობის ლეგალიზაციას, ანუ დაკანონებას. სულ მალე კანიბალიზმის თავისუფლების მოთხოვნითაც გამოვლენ. რა, ამის შემთხვევები ცოტაა თუ, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში! ამ მოთხოვნას მხარდამჭერები და დამცველები არ გამოუჩნდებათ განა, არასამთავროებისა თუ ე. წ. სახალხო დამცველების (ომბუდსმენების) სახით, რომელთა ნაკლებობას არც ჩვენში და არც სხვაგან არავინ უჩივის?..

ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲐᲧᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ! ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲐᲧᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲠᲔᲑᲐᲓᲘᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲬᲘᲤᲐᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲠᲛᲐᲓ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲔᲜ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲠᲝᲐ, ᲕᲘᲙᲘᲕᲚᲝᲗ: ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲨᲘᲐ!

ერთი კაცის, ანუ ცალ-ცალკე კივილს ჯერ კიდევ გაბრუებული საზოგადოება ვერ გაიგონებს, შეძახილია საჭირო. ერთხმად შეძახება რომ შევძლოთ, საამისოდ პატრიოტული ძალების გაერთიანებაა საჭირო!!!

გულგატეხილია ხალხი, ხვალინდელი დღისა და ეროვნული შეგნების გამოღვიძებისა აღარ სჯერა. ხშირად გამიგონია გულისტკივილით ამონაკვესი: აღარაფერი გვეშველება, საქართველო გაყიდულია, ხვალ-ზეგ ჩვენი გასაგისიც აღარ იქნება ჩვენსავე სამშობლოში, მკბენარებივით მომრავლებული ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების — ასო-ების გამოისობით.

ასეთი განწყობილება გასაკვირი როდია. ჩვენს ტელეეკრანებზე დღენიადაგ ყელყელაობენ უცხოელი ძიების „ძრვენნაჭამი“ პარტიების ლიდერები და მათი აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების ასო-ების ახვრები, საეჭვო ზნეობისა და ინტელექტის მქონე „ექსპერტები“ და „პოლიტოლოგები“. დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის გამოცნობას, თუ რომელი ქვეყნის „ძრვენის“ ჭამით აქვთ გასივებული კისრები და გაბიჟვინებული ლოყები. თანაც, რა დიდ გულზე არიან!

იქნებიან, რატომაც არა! კოჰაბიტაციის ხუთწლიანმა სათბურმა სამარისთვის გამზადებული ნაცები და მათი ღვიძლი ძმები ფერზე მოიყვანა და ... „არა სჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამამყრელი ჯავრისა,“ — როგორც ვაჟას პოემის ერთი გულდათუთქული პერსონაჟი ჩივის.

ჰოდა, ისეთი შთაბეჭდილება ექმნება ხალხს, უბედურ ტელემაყურებელს, რომ ამ ქვეყნის დაქცევა-გადაშენების მოსურნენი ბევრი არიან. არა და, ერთი და იგივე პერსონები არიან ტელევიზიების ავანსცენაზე, თანაც კარგა მაგრად დაქოქილები და უცხოეთში ტრენინგგავლილები. ამიტომ არის, რომ ე. წ. ტელედებატებში ხელისუფლების პოზიციის დამცველებს დიდი ანგარიშით უგებენ ხოლმე ეს ნაძირალა ოპოზიციონერები. აბა, რა იქნება! ხელისუფლება მამალი ნაცების წინააღმდეგ დებატებში ჩვენს მძინარა და უდილეტანტეს პარლამენტის დეპუტატებს აგზავნის და არა იმათ, რომლებსაც ძალა შესწევთ თავზე გადაახიონ უნამუსო ოპოზიციას მათივე შეთითხნილი არგუმენტები.

რა, მართლა გაწყდა მამრი საქართველოში? პოლიტოლოგობის ექსპერტობის ეტალონი მართლა სოსო ცისკარიშვილია? განათლებისა — ალექსანდრე ზღაპართმმუსვრელი (იგივე ჯეჯელავა)? ეკონომიკურისა — კაკოია გოგიჩაიშვილი? სამხედრო საქმისა — ვინმე სესიაშვილი? კულტურისა და ლიტერატურისა — ლაშა ბაქრაძე და ლაშა ბუღაძე? მართლა ისე გაგვიჭირდა, რომ ქვეყანაში კატებს ვაყეფებთ?

არა და არა!

ისევ იმ ჩვენი ,,კეთილისმყოფელი“ უცხოელების „ძრვენით“ ავსებული ქართული ტელევიზორები სათოფეზე არ ეკარებიან ჭკუაგონებით გაპენტილ ბრწყინვალე ექსპერტ-სპეციალისტებს, რომლებიც მრავლად არიან საზოგადოებრივი აზროვნების ნებისმიერ დარგში — პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურასა და ხელოვნებაში, ლიტერატურასა და ისტორიაში, განათლებასა და სამხედრო საქმეში.

დაუნახავს ვინმეს ქართულ ტელესივრცეში ალექსანდრე ჭაჭია, იაკობ ლეჟავა ან ლუკა ნემსაძე? სირცხვილი არ არის, ლიტერატურული პროცესების შეფასებას ლაშა ბუღაძეს სთხოვდე, ისტორიული პროცესებისას — ლაშა ბაქრაძეს და ამ დროს სულით ხორცამდე ჯანმრთელები იყვნენ თამაზ წივწივაძე და როინ მეტრეველი?

სირცხვილია!

გამიზნულად და უნამუსოდ ატყუებენ ხალხს, განსაკუთრებით სოციალურად უმწიფარ ახალგაზრდებს, თითქოს ქართველი ხალხის აზრსა და განწყობას თათია დოლიძისნაირი ,,მაგრად წარმატებული“ ე.წ პოლიტიკოსები გამოხატავენ. ქართველი ერის აზრსა და განწყობას უცხოური „ძრვენიჭამია“ მანქურთები კი არა, იმ ქართველ პუბლიცისტთა ბრწყინვალე პლეადა გამოხატავს, რომლებიც მრავლად არიან მოუსყიდავ ჟურნალ-გაზეთებში. ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ ჩვენი შესანიშნავი პუბლიცისტების გურამ გოგიაშვილი (წიკლაურის), დავით მხეიძის, გია გაბრიჭიძის, ბაკურ სვანიძის, ალეკო ასლანიშვილის, იზა თამაზაშვილის, ლაშა ნადარეიშვილის, ნანა დევდარიანის, გრიშა ონიანისა და სხვათა ღრმად პატრიოტული პუბლიცისტიკა თავიანთი გაზეთების მკითხველთა ვიწრო წრისათვის არის ცნობილი, ხოლო უცხოური გრანტების („ძრვენის“!) ჭამით გამაძღარი იდიოტები მილიონებს ელაპარაკებიან ტელევიზიის ეკრანებიდან. რას გახდება მათთან საინფორმაციო ჭიდილში, თუნდაც ისეთი პოპულარული გაზეთები, როგორებიც არიან „საქართველოს რესპუბლიკა“ და ,,ლიტერატურული საქართველო“...

ის კი არა, ეჭვი მაქვს, რომ თვით ჩვენი ბრწყინვალე პუბლიცისტების დიდი ნაწილი ერთმანეთის ნაღვაწსაც არ იცნობს. ცალ-ცალკე არიან და იმიტომ! მათ საერთო სტრატეგია და ტაქტიკა არ აერთიანებთ. ამიტომაა, რომ მათი ძალიან ხმამაღალი და რიხიანი შეძახილი არავის არ ესმის. იმის მიუხედავად, რომ „ძალა ერთობაშია!“ ქართული ანდაზაა, მასში გადმოცემული სიბრძნე ქართველებმა ვერ გავითავისეთ. წესიერმა ქართველებმა, თორემ უწესოები და ბოროტმოქმედები აუცილებლად ერთიანდებიან და ათკაციანი ბანდები შიშის ზარს სცემენ ასიათასებს. სულ ტყუილად გვგონია, რომ სიკეთე და ჭეშმარიტება თვითონ არის თავისი თავის დამცველი და სხვათა მხარდამჭერის გარეშეც გაიმარჯვებს. „Один на поле не войн!“ ზუსტად აქვთ ნათქვამი რუსებს, ამიტომ მოიგეს მათ ყველა ომი. იქნებ ჩვენც ვირწმუნოთ ეს! არადა, ამ სიბრძნის დადასტურება იყო რამდენიმე დღის წინათ გამოვლენილი ერთიანობის ბრწყინვალე მაგალითი — „ქართული მარში“.

„არა ყოფილან კიდევა, გადარჩომიან რბევასა!“

ერთიანობა და ერთხმად შეძახილი გაიგონა ხელისუფლებამ, მტერმაც და მოყვარემაც, შესაბამისი რეაქციებიც გამოავლინეს: მოყვრებმა მხარდაჭერა, მტრებმა და მტრის შნირებმა პანიკური რეაქცია.

ძალიან მეშინია იმისი, რომ თოთხმეტი ივლისის პატრიოტული განწყობა არ გაანელოს და მიანავლოს „ძრვენიჭამია“ ტელევიზიების პერმანენტულმა შემოტევებმა, რომლებსაც 14 ივლისის აქცია „მჟავე ნაციონალიზმად“ მონათლეს.

ამიტომ აუცილებელია 14 ივლისს გამოვლენილი ქართველთა ერთიანობა ორგანიზაციულად გაფორმდეს. სანდრო ბრეგაძესა და მის თანამოაზრეებს, ვფიქრობ, გააზრებული აქვთ ის საფრთხე, რაც მომენტალურ აღტყინებას მოსდევს ხოლმე ჩვენში. მოსდევს კი ის, რომ კარგად ორგანიზებული ერის მოღალატეთა ბანდები, რომლებიც უცხოური „ძრვენიჭამიებით“ არიან გაძეძგილი, ყოველთვის კარგად იყენებდნენ ქართველთა ამ სისუსტეს და გვიტევდნენ იქ და მაშინ, სადაც და როცა გვიჭირდა.

ასე იყო ახლაც. აქციის მეორე დღეს „რუსთავი-2“-მა სცადა 14 ივლისის „ქართული მარშის“ დისკრედიტაცია, მაგრამ კოვზი ნაგავში (უკაცრავად, ნაცარში!) ჩაუვარდა: „რუსთავი-2“-ის ეთერში მიწვეულმა ერთმა კაცმა, მთელ ბალანაშლილ გუნდს ენა ჩააგდებინა მუცელში. ეს კაცი ირაკლი კაკაბაძე იყო! ვერ გათვალა ხეირიანად გვარამია-გაბუნიას კანტორამ, რა სარგებლობა შეეძლო მოეტანა ირაკლი კაკაბაძეს მათთვის, რომელსაც არც დასავლური ორიენტაცია დაეწუნებოდა, არც დასავლური და აღმოსავლური განათლება, არც აშშ-ში ცხოვრების გამოცდილება და თანაც თავგადაკლული ნეოლიბერალი ნინია კაკაბაძის ალალი ძმაა. ჰოდა, ქართველთა საზოგადოებაში ეს პოპულარული კაცი „ქართული მარშის“ ლიდერებს ჰომოფობიაში, შეუწყნარებლობასა და უკულტურობაში დასდებდა ბრალს. არა და, გვარამია-გაბუნიელებმა ის ვერ გაითვალისწინეს, რომ ირაკლი კაკაბაძე დამპალი პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ბარიკადებიდან არის მოსული და ყველა სიკეთესთან ერთად ზურაბ კაკაბაძის შვილია. ჰოდა, რუსთავიორელებს გულდასმით მოფიქრებული ანტიქართული სცენარი თავზე გადაახია.

„ქართულმა მარშმა“ ელეთმელეთი დამართა ჩვენს ლიბერასტებს, რომლებიც, ვიმეორებ, მტკიცე ფიცით არიან გაერთიანებული „ძრვენიჭამია“ ორგანიზაციებში — პარტიებსა და ასო-ებში. ეს კარგად გამოჩნდა მათ გაწიწმატებულ-განწირულ ღნავილში და სასაცილოდ უმწეო არგუმენტებში: არალეგალური მიგრანტებისა და ნაცების მიერ დატოვებული მოღალატური საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა რუსეთის მიერ ინსპირირებული აქცია იყოო. ვაი, თქვენს პატრონს-თქო, შევძახე ტელეეკრანს, მაგრამ რას გავაგონებდი ტელეეკრანზე გამოჭენებულ ამ ცალტვინა ლიბერასტებს. აშშ-ში და ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში რომ იმართება ასეთი მარშები (ჩვენსავით მშვიდობიანი კი არა, ჰამბურგში რომ გაიმართა ისეთი!), თვით აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი, უნგრეთის პრეზიდენტი ორბანი და ბევრი სხვაც, რომ რადიკალურ განცხადებებს აკეთებენ არალეგალური თუ ლეგალური მიგრანტების მოძალებაზე, ესეც რუსეთის მიერ არის დაგეგმილ-განხორციელებული?

რა ყოფილა ეს რუსეთი, ვეჟო!

„ქართული მარშის“ მიერ დაწყებული მოძრაობა უნდა გაგრძელდეს. სანდრო ბრეგაძე და „მარშის“ სხვა ორგანიზატორები მამაცი და გულანთებული პატრიოტები არიან და სწორედ მისნაირების მხარდაჭერისათვის ,,პატრიოტებო საქართველოსი, შეერთდით!“

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ,
თქვენი რიგითი ჯარისკაცი

◎ კვალი დროში

მართალი გზით მავალი კაცი



იმერ და კახი კავსაძეები, ჯემალ ღაღანიძე, ნუგზარ ქავთარაძე

ბატონი ნუგზარი რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩემმა მეგობარმა, აწ განსვენებულმა რენიკო კუბლაშვილმა გამაცნო, დღესდღეობით კი ჩვენი ურთიერთობა უკვე მეგობრობაშია გადაზრდილი.

რენიკოსა და ჩემი სახელით საიუბილეო თარიღი მსურს, მივულოცო ძირძველ თბილისელს, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ გამორჩეულ წევრს, უმაღლესი ზნეობრივი თვისებების მქონეს, სამაგალითო მეოჯახეს, პატიოსანი სიტყვის კაცს, ლხინისა და ჭირის პირველ გამზიარებელს, თავისი საქმის დიდ პროფესიონალს, ბატონ **ნუგზარ ქავთარაძეს,** რომელსაც დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბატონი ნუგზარი დიპლომატობაზე ოცნებობდა, ბაბუამისი, სერგო ქავთარაძე, თავის დროზე ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და რუმინეთში სსრკ-ის ელჩი იყო, ამიტომაც მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში სწავლა და დიპლომატის კარიერა მას თითქოს გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ მამა, ბატონი კონსტანტინე შვილთან ხანგრძლივი განშორების პერსპექტივას ვერ შეეგუა, ამიტომ მისი დაჟინებული თხოვნით ნუგზარმა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. შემდეგ ასპირანტურაც წარმატებით დაამთავრა, მუშაობდა კომკავშირულ, პარტიულ ორგანოებში, საქართველოს პროკურატურაში, მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პარლამენტში. არის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, გადაცემებს უძღვებოდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე, არის რამდენიმე მხატვრული ფილმის კონსულტანტი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ედუარდ შევარდნაძის დაჟინებული თხოვნით მოხვდა კომკავშირის რაიკომების პირველი მდივნების შსს-ს სისტემაში მობილიზაციის შედეგად: დისერტაციაზე მუშაობის საბაბით სამჯერ უარი უთხრა მინისტრს, რომელმაც ერთხელაც კაბინეტიდან განაწყენებულმა კი გამოისტუმრა, მაგრამ მეორე დღეს კოლეგიის სხდომაზე დაუსწრებლად დაამტკიცა კადრების განყოფილების უფროსად.

სამი ათეული წლის წინ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად დანიშვნისთანავე ბატონი ნუგზარი ერის სულიერ მამას რეზიდენციაში ეახლა, წამოსვლისას ილია მეორემ პირჯვარი გადასწერა და უთხრა: ხომ დარწმუნდით, რომ მილიციაშიც ფასდება პატიოსნება, მე თქვენ ქალაქის სინდისად გთვლითო. ამ შეფასებით უწმინდესმა ქავთარაძეების დიდ ოჯახს ოქროს გვირგვინი დაადგა.

თბილისის შს სამმართველოს უფროსად მუშაობის პერიოდში სრულად გამოვლინდა ნუგზარ ქავთარაძის ორგანიზატორული ნიჭი, ბევრ მანკიერ მოვლენას შეებრძოლა, წილების მიღების არხებიც გადაკეტა, ამიტომაც, თანამდებობის პირების ჩარევით, ერთი წელიწადიც არ აცალეს საქმის კეთება, მოხსნეს თანამდებობიდან.

„ვინც ქრთამს იღებს, ან ანგარებას სხვა ფორმით გამოხატავს, თახსირია, მაგრამ ფულის არაღება თავისთავად პატიოსნებას არ ნიშნავს. პატიოსნება ბოროტებასთან და უზნეობასთან უკომპრომისო ბრძოლას ნიშნავს“, — ბატონ ნუგზარ ქავთარაძის ეს სიტყვები მისი ცხოვრებისეული კრედოს გამოხატულებაცაა.

პირადული მეგობრობის გარდა ბატონ ნუგზართან, ასე ვთქვათ, „საქმიანი ურთიეროთბაც“ მაკავშირებს: წლების მანძილზე მან არაერთი უაღრესად საინტერესო წერილი მომაწოდა ჩვენი ფეხბურთის მრავალ ვარსკვლავზე, მათ შორის ყველას საამაყო ავთანდილ ღოღობერიძეზე, თუმცა კი, გარკვეული მიზეზით, ამ წიგნმა დღის სინათლე ვერ იხილა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მის ცალკე წერილად გამოქვეყნებას მაინც შევძლებ.

ცხოვრების გრძელ გზაზე იგი დიდებული ქართველების — გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, ეროსი მანჯგალაძის, დოდო აბაშიძის, გივი ინწკირველის მეგობარი იყო. დღემდე მეგობრობს რეზო გაბრიაძესთან.

დიდი პატივისცემა მინდა გამოვხატო ბატონ ნუგზარის მოსიყვარულე მეუღლის, მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრის, ლხინისა და ჭირის გამზიარებელი ადამიანის, ცნობილი დასტაქრის ლალი გუჯაბიძის მიმართ, რომელსაც ამას წინათ საიუბილეო თარიღი შეუსრულდა, რომელიც მოსწავლეთა სასახლეში საზეიმოდ აღინიშნა.

დაბოლოს, რთულია, ჩამოვთვალო ყველა ის მიღწევა, რამაც განაპირობა ნუგზარ ქავთარაძისადმი ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებაში. ასეთი დაფასება და აღიარება თავისთავად არ მოდის, მის უკან არის დაუღალავი შრომა, სიძნელეებისა და დაბრკოლებების დაძლევა. მის მიერ განვლილი გზა ეს არის ღირსეული, სამაგალითო ადამიანის ცხოვრების გზა.

ჩვენო ძვირფასო, ბატონო ნუგზარ, დიდხანს იარეთ თქვენი მართალი გზით, კვლავაც აკეთეთ კეთილი საქმეები...

დემიკო ლოლაძე

ავტორის ფოტო

„არგო“ — პროგრამის „აწარმოე საქართველოში“

კიდევ ერთი ახალი საწარმო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ კიდევ ერთი, ახალი ბენეფიციარი, კომპანია „არგო“ შეემატა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, სააგენტოს მხარდაჭერით, კომპანია ლიმონათის წარმოების ხაზის დამატებასა და უალკოჰოლო სასმელების მიმართულების ასორტიმენტის გაზრდას შეძლებს.

კონკრეტულად, საწარმოში, რომელიც თანამედროვე ხარისხის მანქანა-დანადგარებით იქნება აღჭურვილი, პირველ ეტაპზე 38 ადამიანი დასაქმდება, ყოველწლიურად კი 10 000 000 ლიტრი ლიმონათის წარმოებას გეგმავს. რაც შეეხება კომპანიის სამომავლო მიზნებს, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის რეალიზება მოხდება ქვეყნის მასშტაბით არსებულ თითქმის ყველა სავაჭრო ობიექტსა და სუპერმარკეტების ქსელში, ამასთანავე, დაგეგმილია ნაწარმის საერთაშორისო ბაზრებზე გატანაც.

სს „არგო“ თბილისში, ლილოში, სამგორის რაიონში მდებარეობს და პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას გულისხმობს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მხრიდან. საგენტოს დახმარებითვე განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა კი 1 568 807 ლარს შეადგენს.

ქართული პროდუქტი ჰონგკონგურ სუპერმარკეტებში გაიყიდება

კომპანია „არომაპროდუქტის“ მიერ წარმოებული პროდუქცია ჰონგკონგური სუპერმარკეტების ქსელ „City Super“-ის დახლებზე გაიყიდება.

კომპანიამ აღნიშნულ წარმატებას, 2017 წელს ჰონგ-კონგში, სააგენტოს მიერ ქართული ექსპორტიორი კომპანიების საგამოფენო ღონისძიებაზე „Hofex 2017“ მონაწილეობის ორგანიზების შედეგად მიაღწია და ხელშეკრულების გაფორმება შეძლო ზემოთ ხსენებულ ქსელთან.

კომპანია „არომაპროდუქტი“ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიაა, რომელსაც საკუთარი პროდუქცია ორმოცამდე ქვეყანაში წარმატებულად გააქვს და უახლესი ტექნოლოგიების საშუალებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას — ხილის და ბოსტნეულის წვენებს, ხილის წვენის კონცენტრატებს და ჯემებს აწარმოებს.

შს მინისტრი პოლიციელებს მადლობას უხდის

საქართველოს შს მინისტრი პოლიციელებს მადლობას უხდის. გიორგი მღებრიშვილი განცხადებაში, რომელიც „ფეისბუქის“ გვერდზე გავრცელდა, აღმაშენებლის გამზირზე აქციის მიმდინარეობისას პოლიციელების მხრიდან აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვაზე საუბრობს.

„ჩემო პოლიციელებო! მსურს, მადლობა გადაგიხადოთ გამოჩენილი პროფესიონალიზმისა და თავდადებისთვის, პირნათლად შესრულებული მოვალეობისთვის. თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ, რომ ხართ თითოეული ჩვენი მოქალაქისა და სტუმრის მცველი, დგახართ და ყოველთვის იდგებით მათი უსაფრთხოების სადარაჯოზე, მიუხედავად პოლიტიკური თუ სხვა სახის კუთვნილებისა. ესაა შემდგარი, დემოკრატიული სახელმწიფოს ძირეული ღირებულება და თქვენ — ამ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები, იმედი და ძალა. ასე, მხარდამხარ უფრო მეტს მივაღწევთ. მადლობა!,“ — ნათქვამია შს მინისტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აღმაშენებლის გამზირზე აქციის მონაწილის დაშავების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

აღმაშენებლის **გამზირზე აქციის მონაწილის დაშავების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე საქმე 126-ე მუხლით აღიძრა, რაც ძალადობას გულისხმობს.**

ქალს, რომელიც „ევროპული საქართველოს“ მსვლელობაში მონაწილებდა, სავარაუდოდ, ბოთლი ესროლეს, საჭირო გახდა მისი ჰოსპიტალიზაცია.

„არა რუსულ ფაშიზმს“ — აქციის მონაწილეს ტვინის შერყევა დაუდგინდა. დაშავებული, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებმა ალადაშვილის სახელობის კლინიკაში მოინახულეს.

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲒᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ

„ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის ივნისის თვეში „უნგრულმა ავიაკომპანია Wizz Air-მა საქართველოს მიმართულებით არსებულ რეისებს კიდევ ერთი ახალი დაამატა, ამჯერად ბრიტანეთის ქალაქ ლუტონიდან, მაგრამ არა თბილისში, არამედ დასავლეთ საქართველოში მდებარე ქუთაისში, რომლის შესახებ მე ადრე არაფერი მსმენია. თურმე ეს ქალაქი სვანეთის ჭიშკარი ყოფილა – სვანეთისა, რომელიც ბუმბერაზი მთების სამფლობელოა და სადაც ბრიტანელებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები ელოდებათ“, – ნათქვამია გავლენიანი ბრიტანული გამოცემის „The Guardian“-ის მიერ ჯერემი ჰედის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის დასაწყისში, რომელშიც საკმაოდ ვრცლადაა გადმოცემული საქართველოს სვანეთის რეგიონის ბუნება, ღირსშესანიშნაობები და სვანთა ყოფა-ცხოვრება.

„საქართველომ დამოუკიდებლობას 1991 წელს მიაღწია, საბჭოთა კავშირის დაშლის ჟამს. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, თუმცა აქ საბჭოთა კავშირს ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაგონებს: ტრადიციული საცხოვრებელი სახლები, ოთხკუთხა კორპუსები, ავტობუსის გაჩერებათა მოსაცდელები, დიდი ქანდაკებები და ეკალბარდმოდებული მიტოვებული ფაბრიკა-ქარხნები“, – აღნიშნავს ავტორი და მკითხველს ქუთაისიდან მესტიამდე მგზავრობის შთაბეჭდილებებს უყვება: **„გზაზე გვირაბები გავიარეთ. ქვემოთ აქაფებული მღვრიე მდინარე ღმუის, ზემოთ – ღრუბლებიანი მწვერვალები ჩანს... ირგვლივ მთები, ტყეები და მწვანე მდელოებია“.** მოგზაურობა კი სოფელ ბეჩოს სტუმრობით იწყება, რომელიც სვანეთის ერთ-ერთი მიმზიდველი სოფელია. ავტორის დაკვირვებით, სვანები ამტანი და შრომისმოყვარე ხალხია, ტურიზმი კი მათთვის დამატებით შემოსავლების საფუძველია.

სტატიაში გადმოცემულია ერთ-ერთი მცირე სასტუმროში გატარებული დღეები – თუ როგორ ცდილობდა დიასახლისი ბრიტანელი სტუმრების პატივისცემას, როგორ უმზადებდა კუბდარს... **„კუბდარი სვანებისათვის მთავარი საჭმელია, პურის მსგავსი, ოღონდ მისი შიგთავსი საქონლის ფარშს, ხახვს და სხვა საიდუმლო სანელებლებს შეიცავს“,** – წერს ავტორი სვანური სამზარეულოს თავისებურებებზე და იქვე აღნიშნავს სვანური არყის „საგემოვნო ღირსებებს“..

„რადგანაც სვანეთში საქართველო-რუსეთის საზღვარი გადის, ჩვენ, მთებისაკენ მიმავალნი, ქართველ მესაზღვრეთა პოსტიც ვნახეთ, რომელზეც ქართული დროშა ფრიალებდა. წვიმდა, ჯარისკაცებმა შეგვიფარეს, ცხელი ჩაი დაგვალევინეს და სველი ტანსაცმელი გაგვიშრეს“, – მადლიერებით წერს ჯერემი ჰედი.

„გარდიანის“ ჟურნალისტი მესტიას და მულახს ეწვია. **„მესტია ბეჩოსთან შედარებით უფრო განვითარებული და კეთილმოწყობილია. აქ ძალიან ბევრი სასტუმრო და პანსიონატია, თუმცა წვიმიანი ამინდების გამო ტურისტები ბევრი არ იყვნენ. აქ არის ადგილობრივი მუზეუმი, რომელიც მოგზაურს საინტერესო წარმოდგენას აძლევს სვანთა ყოფა-ცხოვრებაზე. მულახში უამრავი კოშკია, შუა საუკუნეებში აშენებული, მტრებისაგან თავდასაცავად“,** – ნათქვამია პუბლიკაციაში, რომლის დასასრულ ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს: **„მართალია, ზოგჯერ ამინდი არ გვიმართლებდა, მაგრამ ჩვენი მოგზაურობა მაინც ღირდა“.**

„The Guardian“
(დიდი ბრიტანეთი)

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲔᲑᲗᲐ ᲬᲐᲚᲔᲙᲕᲔᲡ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ შინაგან საქმეთა სამინისტროს თელ-ავივის განყოფილებაში, რომელიც ფლორენტინის კვარტალში, აბარბანელის ქუჩაზე მდებარეობს, საზღვარგარეთული პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ ბოლო ხანს შს უწყების ეს ფილიალი სულ სხვა საქმიანობითაა დაკავებული. ამ ადგილისკენ დილის 8 საათიდან ადამიანთა ნაკადი მიემართება – იმ ტურისტებისა, რომლებთაც ისრაელში ლტოლვილის სტატუსის მიღება სურთ. და ეს ტურისტები ძირითადად საქართველოდან და უკრაინიდან არიან.

გაზეთ „გლობს-Globs“ -ის ჟურნალისტები, რომლებმაც გამოკვლევა ჩაატარეს, აცხადებენ, რომ ფილიალთან რიგში ჩადგომა დილის 3-4 საათიდან იწყება. აქ „ადმინისტრირებას“ ახდენენ სისხლის სამართლებრივი ელემენტები, რომლებიც რამდენიმე ასეულ შეკელს იღებენ მათგან, ვისაც რიგის დასაწყისში სურს მოხვედრა და არა საათობით ლოდინი პაპანაქება სიცხეში. ხშირად „მზის ქვეშ“ ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლაა საჭირო – ბრძოლა მუშტებით.

ჯერ კიდევ 2014 წელს პოლიტიკური თავშესაფრის მიღების მთხოვნელების უმეტესობა აფრიკელები (1203 ერიტრეელი და 903 სუდანელი) იყვნენ, მაგრამ 2015 წლიდან პირველობა ხელთ იგდეს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოსულებმა.

2013 წელს ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროში პოლიტიკური თავშესაფრის მიღებაზე განცხადება მხოლოდ ერთმა ქართველმა მოქალაქემ წარადგინა. 2014 წელს კი მიღების მსურველთა რიცხვი 27-მდე გაიზარდა, 2015 წელს – 736. ანალოგიურად ვითარდებოდა სიტუაცია უკრაინელთა მიმართაც: 2013 წელს – ოთხი თხოვნა, 2014-ში – 51, 2015-ში – 703. 2016 წელს ანგარიში უკვე ათასებზე ავიდა – 3668 ქართველი და 6680 უკრაინელი.

ისრაელი იმ საერთაშორისო კონვენციების მონაწილეა, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს გულდასმით განიხილონ პოლიტიკური თავშესაფრის მიღების შესახებ თხოვნები და დააკმაყოფილონ, თუ აღმოჩნდა, რომ მთხოვნელს თავის სამშობლოში მართლაც დევნიან პოლიტიკური, რელიგიური თუ საზოგადოებრივი მრწამსის გამო. რადგან ამგვარი თხოვნების განხილვა შეიძლება თვეობით გაგრძელდეს, წლობითაც კი, ამიტომ პოლიტიკური თავშესაფრის მიღების პრეტენდენტს ისრაელში მუშაობის უფლება ეძლევა.

როგორც ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, საქართველოდან და უკრაინიდან თავშესაფრის მიღების მსურველთა რაოდენობის ზრდა ამ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის დაწესებას დაემთხვა. ამით ლტოლვილის სტატუსის მიღების მსურველებს ქვეყანაში შემოსვლა გაუადვილდათ. გარდა ამისა, პარალელურად შეიქმნა მთელი ინფრასტრუქტურა შუამავლების და იურისტების შემადგენლობით, რომლებმაც კონვეიერული სისტემით დაიწყეს ტურისტთა გადაფორმება თავშესაფრის მიღების მსურველებად. „საქმის გასაკეთებლად“ ისინი უცხოელებისაგან რამდენიმე ათას შეკელს ითხოვენ, მაგრამ რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტრო პრაქტიკულად ყველას უარს ეუბნება, საბოლოო ჯამში თავშესაფრის მიღების მსურველებს ეს ფული „ეკარგებათ“, ანუ იურისტ-შუამავლების ჯიბეში რჩება. თუმცა იმის გამო, რომ განცხადების განხილვა ჭიანურდება, ამ სიტუაციას მაინც აქვს დადებითი მხარე – ისრაელში მუშაობის უფლება.

საქართველოსთან მიმართებით ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე გაატარა შესაბამისი ზომები და ეს ქვეყანა „დემოკრატიულად და უსაფრთხო“ ქვეყნად აღიარა. ეს ნიშნავს, რომ თუ თავშესაფრის და ლტოლვილის სტატუსის მიღების მთხოვნელი განცხადებაში მიუთითებს იმ მიზეზს, რომ იგი „ოპოზიციური პარტიის წევრია“, მისი თხოვნა ავტომატურად, დაჩქარებული წესით იქნება უარყოფილი. ამგვარ თხოვნას მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებენ, თუ თავშესაფრის კონკრეტული მაძიებელი თხოვნას არგუმენტებით საფუძვლიანად დაამტკიცებს, რომ მას, როგორც ოპოზიციონერს, მართლაც დევნიან და ემუქრებიან. საქართველოს მიმართ განხორციელებული ზომით ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ შემოსული თხოვნების რაოდენობა რამდენჯერმე შემცირდა – 2017 წლის პირველ ნახევარში განცხადება მხოლოდ 1328 ქართველმა ტურისტმა შემოიტანა. სამაგიეროდ, უკრაინიდან, რომელსაც ისრაელი ჯერჯერობით არ თვლის „დემოკრატიულ და უსაფრთხო“ ქვეყნად, თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება: მიმდინარე წლის ექვს თვეში უკვე 5718 თხოვნა დაფიქსირდა.

საბოლოო ჯამში 2015 წლიდან მხოლოდ ქართველებმა და უკრაინელებმა 19033 თხოვნა წარმოადგინეს და თუ ამას აფრიკული ქვეყნებიდან ჩამოსულთა 40 ათას თხოვნას დავამატებთ...

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკთა თქმით, **იმის მიუხედავად, რომ ამ თხოვნებს, პრაქტიკულად ყველას უარი ეთქვა, ქვეყნიდან ძალიან ცოტა მთხოვნელი თუ წავიდა, მათი უმრავლესობა არალეგალის სტატუსით ისრაელში დარჩა და „შავ სამუშაოებს“ ასრულებენ – მშენებლობებზე, ქუჩების დასუფთავებაზე, საქონლის სასაკლაოებზე და ა.შ. რასაკვირველია, ისრაელის შესაბამისი ორგანოები მათ ეძებენ და როცა პოულობენ, ქვეყნიდან მათ დეპორტაციას ახდენენ, თუმცა არცთუ დიდი რაოდენობით: 2016 წელს ქვეყნიდან დეპორტირებულ 3221 უცხოელთაგან (ვადაგასული ვიზების მქონეთა ჩათვლით) მხოლოდ 1166 უკრაინელი და 432 ქართველი იყო.**

„გლობს“-ის ჟურნალისტები გაესაუბრნენ ერთ-ერთ მთხოვნელს უკრაინიდან ოლია ბუსაროვას, რომელიც სამინისტროსთან რიგში იდგა. იგი ისრაელში უკვე რამდენიმე წელია, ცხოვრობს, ჩამოვიდა დონეცკიდან, როცა იქ ომი დაიწყო. ოლიას ნაცნობები ჰყავს, რომლებიც აქ დიდი ხანია ცხოვრობენ. კითხვაზე, თუ რატომ არ წავიდა კიევში, სადაც უსაფრთხო ცხოვრებაა, მან განაცხადა, რომ კიევში დონეცკიდან ჩასულებს ბინას არავინ არ მიაქირავებს – **„გეკითხებიან, საიდან ხარ და როცა გაიგებენ, რომ დონეცკიდან, იმწუთშივე უარს გეუბნებიან“.** ოლიას თქმით, სანამ დონბასის ამბები დაიწყებოდა, იგი ერთხანს კიევში მუშაობდა, შემდეგ კი სამსახურიდან გაათავისუფლეს, რადგან დონეცკიდან იყო. ისრაელში ოლია დღეში რამდენიმე საათი მუშაობს, ცხოვრობს ნაცნობებთან, რომლებიც მას საკვებით ეხმარებიან. იგი კმაყოფილია, რადგან მის თავზე უკვე ჭურვების ხმა აღარ ისმის, ბომბები არ ცვივა, ბავშვები და მოხუცები არ იღუპებიან.

შეკითხვაზე, იცის თუ არა მან, რომ უკრაინელთა ყველა თხოვნა პოლიტიკური თავშესაფრის მიღებაზე სამინისტროს მიერ, პრაქტიკულად, უარყოფილია, ოლია პასუხობს, რომ იმედი აქვს მის თხოვნას დადებითად გადაწყვეტენ – მას ხომ სახლი დაბომბვისგან დაენგრა და უკან დასაბრუნებელიც არსად აღარ აქვს.

გორელმა გიორგი იაკობაშვილმა (25 წლის) და თბილისელმა მამუკა ხვედელიძემ (27 წლის) ერთმანეთი უკვე ისრაელში გაიცნეს. ისინი აქ რვა თვის წინათ ჩამოვიდნენ და იმ დღესვე განცხადება დაწერეს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად. გიორგი და მამუკა „გლობს“-ის ჟურნალისტებს უყვებიან საქართველოში არსებულ გაუსაძლის ეკონომიკურ სიდუხჭირეზე და „პოლიციასთან შექმნილ პრობლემებზე“. ამის დასადასტურებლად ისინი ჟურნალისტებს მობილური ტელეფონით ვიდეოჩანაწერს აჩვენებენ პოლიციის მიერ თბილისში დემონსტრაციის დარბევის შესახებ. საქართველოდან ჩამოსული ამ თავშესაფრის მაძიებლიდან ერთი თელ-ავივში სასტუმროს დასუფთავებით არის დაკავებული, მეორე კი პეტაჰ-თიქვის რესტორნის სამზარეულოში მუშაობს. ორივე ისრაელში ჩამოვიდა, რადგან გაიგეს, რომ აქ ვიზის გარეშე მუშაობა შეიძლებაო. თუმცა აღმოჩნდა, რომ სიტუაცია უფრო რთულია, ვიდრე მათ ეგონათ. მათ თხოვნა დაწერეს და თუ არ დააკმაყოფილებენ, უკან, საქართველოში დაბრუნდებიან. გიორგი და მამუკა ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოზე აღტაცებით ლაპარაკობენ და დაავიწყდათ, რომ ერთი წუთის წინათ თავიანთ ქვეყანას საცხოვრებლად სახიფათოდ მიიჩნევდნენ.

ადამიანთა ასეთ ნაკადს ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროში „ლტოლვილთა ტურიზმს“ უწოდებენ, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროში – სავსებით ნორმალურს და უხიფათოს. საქართველოსთან მიმართებით პრობლემა პრაქტიკულად უკვე მოგვარებულია – თითქმის ყველას დაჩქარებული პროცედურით უარს ეუბნებიან, უკრაინასთან მიმართებით კი საკითხი უფრო რთულადაა – დღევანდელი საომარი სიტუაციის გათვალისწინება იმ დროს, როცა ისრაელმა უკრაინასთან უვიზო რეჟიმი დააწესა, შეუძლებელი იყო. მაგრამ მთლიანობაში, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში თვლიან, საქართველოსთან და უკრაინასთან უვიზო რეჟიმის გაუქმების მიზეზები არ არსებობს. ისრაელი შეძლებს უვიზო რეჟიმისთვის თანამდევ „გვერდით ეფექტს“ გაუმკლავდეს, მით უმეტეს, რომ ამას წინათ საქართველომაც და უკრაინამაც ევროკავშირისგანაც უვიზო რეჟიმი მიიღეს.

ხიდების აშენება რომ მილიონები ჯდება?!

რა ბილიკები უნდათ, როცა გვაქვს რუსთაველის ქუჩა, რომელიც ავტომაგისტრალად გადაუქცევიათ?!

თბილისში შესაძლოა, ფეხით მოსიარულეთა ხიდები და ბილიკები მოეწყოს. ამ მხრივ რამდენიმე ლოკაციაზეა საუბარი – ოპერა-ქორწინების სახლი, სპორტის სასახლე-მუშთაიდი, ივერია-მარჯანიშვილი, დირსიჭალა და ავჭალა.

თბილისის განვითარების გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი მამუკა სალუქვაძე ამბობს, რომ ჯგუფის რეკომენდაციაა, ამ არეალში ფეხით მოსიარულეთა ხიდები და ბილიკები განთავსდეს.

ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი **ზურაბ ბაძრაძე** აცხადებს, რომ დასახელებული რამდენიმე ლოკაცია (ოპერა-ქორწინების სახლი, სპორტის სასახლე-მუშთაიდი, ივერია-მარჯანიშვილი) მტკვრის ორ სხვადასხვა მხარეს მყოფ ობიექტებს გულისხმობს და, როგორც ჩანს, სწორედ მტკვარზე აპირებენ ხიდების გადებას და არა მხოლოდ მტკვრის ერთ სანაპიროზე, როგორც ეს გიგი უგულავას დროს გაკეთდა.

სპეციალისტის თქმით, აქ საუბარია ოპერა-ქორწინების სახლზე, თუმცა საინტერესოა, რომელ ქორწინების სახლს გულისხმობენ? ადრე რომ იყო ქორწინების სახლი გრიბოედოვის ძეგლთან? თუ ეს ქორწინების სახლი ისევ შენარჩუნებულია, მაშინ გასაგებია მტკვარზე საქვეითო ხიდის გადადება. თანაც, თუ ეს ხიდი მიბმული იქნება საქვეითო ინფრასტრუქტურასთან, საქვეითო მოძრაობის ქუჩებთან, კარგი იქნება.

– თორემ თავის დროზე მიშიკომაც გადადო კალადან რიყეზე ხიდი, მაგრამ მის მიერ გადადებულ ხიდს აზრი არ აქვს, რადგან კალას მხარეს არავითარ ქუჩას არ უმიზნებს, არა ემთხვევა, არამედ ეჯახება საცხოვრებელი სახლის კუთხეებს. რაც შეეხება სპორტის სასახლე-მუშთაიდის მონაკვეთს, გამოდის, რომ ჯერ უნდა გავიაროთ ის ჯუნგლი, სპორტის სასახლის უკან რაც არის, მერე იქიდან ძალიან დიდი კლდეა და შეიძლება მოვხვდეთ კიდეც გადაღმა მარცხენა მხარეს. თუ ასეთი რამის გაკეთება უნდათ და იქ ასასვლელს გააკეთებენ, არც ეს არის დასაწუნი იდეა. მთავარია, საქვეითო მოძრაობას მიაქციონ ყურადღება ქალაქში. ერთიცაა, რაღა ხიდებით იწყებენ, როცა ხიდის აშენება მილიონობით ჯდება. ჯერ ტროტუარი გაათავისუფლონ, ისეთი ქუჩები შექმნან, სადაც ფეხმავალს საარსებო არეალი ექნება, ტროტუარიდან მანქანები მოშორდება, მანქანის სავალ ნაწილზე გადასასვლელები მოეწყობა შუქნიშნებით, რათა მანქანამ არ გაჭყლიტოს ხალხი და ამ ხალხმა მიწისქვეშა გადასასვლელებში არ იძრომიალოს უბედურად, არც საშინელ რკინის ოჩოფეხებზე ავიდეს მეორე მხარეს გადასასვლელად. მოკლედ, გაუბედურებულია ფეხმავალი. იმ ხიდებში კიდევ ფულიკეთდება, შეიძლება იმიტომაც ლაპარაკობენ ხიდების აშენებაზე“, – აცხადებს ზურაბ ბაქრაძე, რომელიც ხიდებისა და ბილიკების აშენებაში უფრო პოპულისტურ ზრახვებს ხედავს და ეს სიტუაცია რუსულ გამოთქმას აგონებს, „სლიშიტ ზვონ, ნე ზნაეტ ატკუდა ონ“, ანუ გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფმა გაიგო რაღაც ახალი და ახლა იდეოლოგიურად „უბერავენ“, თითქოს ფეხმავლების მდგომარეობის გამოსასწორებლად ზრუნავენ.

მისივე თქმით, ხიდებისა და ბილიკების გაკეთებამდე იმაზე უნდა დაფიქრებულიყვნენ, რა როლი ექნება რუსთაველის პროსპექტს ქალაქში?! ამაზე კი ხმას არ იღებს მამუკა სალუქვაძე. ეს მაშინ, როცა მხოლოდ თბილისის კი არა, მთელი ჩვენი სახელმწიფოს მთავარი ქუჩაა რუსთაველი, რომელიც, სამწუხაროდ, ავტობანად აქვთ გადაქცეული.

ამდენად, საჭიროა, ქალაქში ისეთი ქუჩები მოეწყოს, სადაც საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ფეხმავალს უპირატესობა მიენიჭებათ და, სადაც ქუჩები ავტობანივით არ იქნება გაჭრილი ისე, როგორც რუსთაველის გამზირია.

– რა ბილიკები უნდათ, როცა საუკეთესო ქუჩა გვაქვს რუსთაველის სახით, რომელიც ავტომაგისტრალად გადაუქცევიათ. ფეხით მოსიარულეთათვის რაიმე გააკეთონ რუსთაველზე, რათა ხალხმა გზის გადაკვეთა-გადმოკვეთა შეძლოს და რუსთაველი ნამდვილი ქუჩა გახდეს. ამ დროს რუსთაველის გამზირი შუაში გაჭრეს, ქვეითად მოსიარულეებს მიწისქვეშა გადასასვლელები მოუწყვეს, კაცი ვაკიდან რომ „დაგაზავს“, გავა ავლაბარში ისე, რომ ერთი შუქნიშანი არ ხვდება. მეორე ასეთი უმნიშვნელოვანესი ქუჩაა აღმაშენებლის გამზირი. რა მდგომარეობაშია იქ ფეხმავალი? ამაზე რას ფიქრობს სალუქვაძე, ეგ თქვას. რად უნდა ამას ახალი ბილიკებისა და ხიდების მოგონება?

ხელოვნებათმცოდნე **სოფო კილასონია** იზიარებს მოსაზრებას, რომ ჩვენს დედაქალაქში აუცილებელია ფეხით მოსიარულეთა სივრცეების შექმნა, მაგრამ, ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, სასიამოვნო იყოს ამ ქალაქში სიარული. ამ დროს კი ჰაერის დაბინძურების პრობლემა იმდენად გრანდიოზულია, რომ მოქალაქეებს ერთი სული აქვთ, თავი შეაფარონ დახშულ სივრცეს, რათა გადაურჩნენ იმას, რაც ქალაქში ხდება. განსაკუთრებით, ეს პრობლემა ზაფხულშია აქტუალური.

„კომპლექსურად თუ არ მიიღებენ გადაწყვეტილებას და არ მოხდება დაბალანსება რეკრეაციულ და სატრანსპორტო ზონებს შორის, მაშინ მხოლოდ ბილიკებისა და ხიდების მოწყობა მიმზიდველს ვერ გახდის ჩვენს დედაქალაქს. საერთოდ, გენერალურ გეგმას ის ხიბლი აქვს, რომ საკუთარ თავში გულისხმობს კომპლექსურ ხედვას. მოქალაქეებს გვჭირდება როგორც საფეხმავლო ზონები, ასევე, ჟანგბადის შემცველი ადგილები. ამასთან, მნიშვნელოვანია, საფეხმავლო გზები ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული და სრულფასოვან მარშრუტზე გავლა და გასეირნება შესაძლებელი იყოს, – აცხადებს სოფო კილასონია for.ge -სთან საუბარში და კონკრეტულ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას.

მაგალითისთვის, ჭავჭავაძეზე რომ გაისეირნოთ და ჩახვიდეთ ვარაზისხევში, იქ უკვე შეფერხდებით და ვერსად გადაადგილდებით. ასეთივე ბარიერის წინაშე აღმოჩნდებით, თუკი კოსტავადან გახვალთ ვარაზისხევის მიმართულებით. სამწუხაროდ, საფეხმავლო გზას ჩვენთან ყოველთვის აქვს ბარიერი, რადგან უაზრო ადგილას წყდება. სხვადასხვა ადგილებში თითქოს რაღაც ხიდებია, გადასასვლელებია, მაგრამ მერე წყდება ეს დამაკავშირებელი საშუალებები და დგახარ უზარმაზარი ბარიერის წინაშე, როგორ გადაკვეთო ტრასა. თბილისისთვის ეს პრობლემაა, რადგან ალოგიკური ინიციატივები ძალიან ხშირია.

მანანა ნოზაძე

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan №: 2000000778; IFAD Grant 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი სამუშაოებისთვის: **გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებლის რეაბილიტაცია.**

კონტრაქტით №: *AMMAR/CW/2017/09*

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. **კონტრაქტის ხანგრძლივობაა 8 თვე.**

2. კონტრაქტის მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – **2,900,000 ლარი** დღგ–ს ჩათვლით
- ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ **1,500,000 ლარის** (დღგ–ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70%–ით უნდა იყოს დასრულებული).
- კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო სახსრების (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – **350,000 ლარი.**

3. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2017 წლის 25 ივლისიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;
გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი -4411.

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2017 წლის 24 აგვისტოს 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

5. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაურუნდებათ გაუხსნელი.

მისამართი:

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი 309

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

დანართი №1 (4 ფურცელი), დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2017 წლის „24 ივლისის“ № 01-3/350 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულისმოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-I	P	1 წელი	30 000	5 220,00	4200,00
2	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-II	P	1 წელი	30 000	5 220,00	4200,00
3	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-III	P	1 წელი	30 200	5 253,00	4200,00
4	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-IV	P	1 წელი	30 000	5 220,00	4200,00
5	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-V	P	1 წელი	29 800	5 183,00	4200,00
6	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-I	P	1 წელი	24 150	4 200,00	3200,00
7	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-II	P	1 წელი	24 000	4 174,00	3200,00
8	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ცხემნა.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-I	P	1 წელი	31 450	5 470.00	4 200,00
9	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ცხემნა.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-II	P	1 წელი	31 370	5 455.00	4 200,00
10	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ცხემნა.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-III	P	1 წელი	31 470	5 475.00	4 200,00
11	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ცხემნა.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-I	P	1 წელი	26 530	4 615.00	3 200,00
12	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ცხემნა.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-II	P	1 წელი	26 050	4 530.00	3 200,00
13	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ბალაძეები.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“	P	1 წელი	14 570	2 535.00	2 200,00
14	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-I	P	1 წელი	24 180	4 205,00	3200,00
15	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-II	P	1 წელი	24 160	4 202,00	3200,00
16	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი წონიარისი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-III	P	1 წელი	24 000	4 174,00	3200,00

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით
	სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 27 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 29 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 29 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 29 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

რა ტაქტიანი და „მჭევრმეტყველი“ ყოფილხართ თქვენ მართლა უავტორიტეტო ლევან ბერძენიშვილო!

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი პრემიერ-მინისტრის განცხადებას ეხმიანება, რომლის თანახმადაც, „საქართველოში სეკულარიზმი, თავისი კლასიკური გაგებით, უადგილოა“.

„საქართველოში სეკულარიზმი უადგილოაო, განუცხადებია პრემიერ-მინისტრს.თუ რამე და ვინმეა უადგილო ამ ქვეყანაში, არის სწორედ ეს ხელისუფლების უბრალო დამატება კვირიკაშვილი, უძლური, უავტორიტეტო, უინიციატივო, უსუსური და უადგილო“, — წერს facebook-ის საკუთარ გვერდზე ბერძენიშვილი.

შეგახსენებთ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ სასტუმრო „სნოს“ გახსნაზე განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ დღეს სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებლები არიან, საქართველოში სეკულარიზმი თავისი კლასიკური გაგებით უადგილოა, და ვფიქრობთ, რომ ჩვენს ერში არსებობს მოდელი, რომელიც მსოფლიოში უნიკალურია“.

„გირჩი“ პროსტიტუციის ლეგალიზაციას ითხოვს

„გირჩი“ პროსტიტუციის ლეგალიზაციას მოითხოვს და განმარტავს, რომ ეს არის საუკეთესო გამოსავალი ტრეფიკინგის პრევენციისთვის.მათივე განმარტებით, დაცული იქნება სექსინდუსტრიაში დასაქმებულ პირთა უსაფრთხოება და მათზე ვეღარ იძალადებენ.

„ვაყენებთ საკითხს პროსტიტუციის ლეგალიზაციის შესახებ და მიგვაჩნია, რომ ამ საქმიანობის არც ერთი კომპონენტი არ უნდა იყოს დასჯადი. არც სისხლის და არც ადმინისტრაციული სამართლის წესით. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ქურდებს, მკვლელებს, მოძალადეებს და არა სექს-მუშაკებს,“ — განაცხადა „გირჩის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნათია კალაძემ.

„გირჩი“ შესაბამის საკანონმდებლო პაკეტს პარლამენტში რამდენიმე დღეში შეიტანს.

ადა მარშანიას პარლამენტში არ მოუსმინეს

„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერს ადა მარშანიას, რომელიც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პარტიის წევრების მოსკოვში ვიზიტთან დაკავშირებით საუბრობდა, არ მოუსმინეს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, პარლამენტის ბიურო არ არის ვალდებული, პარტიული ვიზიტის შესახებ ანგარიში მოისმინოს.

„თქვენ თუ გინდათ პარტიებთან საუბარი, შეგიძლიათ მოიწვიოთ და პარტიების წარმომადგენლებს ესაუბროთ. კანონდებლობით პარტიული ვიზიტის შესახებ ანგარიშს ბიურო ვერ მოისმენს, იძულებული ვარ, დავასრულო ბიუროს სხდომა“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ვისაც აქვს სურვილი მომისმინოს, ვისაც არა დემონსტრაციულად ადგება და გავა“, — განაცხადა მარშანიამ.

ბერშუეთთან, ოკუპანტებმა საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

სოფელ ბერშუეთთან ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. ადგილობრივების ინფორმაციით ზაზა ბერიანიძე და ლევან ტურაშვილი ცხინვალის ციხეში გადაიყვანეს.



საქართველოს საზელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიში გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებენ. მათი განმარტებით, მომხდარის შემდეგ ამოქმედდა ცხელი ხაზი და მოხდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც ინფორმირებულია.

◎ ძიუდო

„ოქრო“-„ვერცხლი“ ბელარუსიდან

გასულ უქმეებზე ბელარუსის დედაქალაქ მინსკში გამართულ ძიუდოისტთა „ევროპის ღია ტურნირზე“ ქართველმა ფალავნებმა თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვარლამ ლიპარტელიანი ავიდა, 81 კილოგრამში კი ნუგზარ ტატალაშვილი მეორე ადგილს დასჯერდა.

ვარლამ ლიპარტელიანმა ჯერ რუს ალექსეი კაზაჩკოვს სძლია ვაზარით, შემდეგ ჩილელ თომას ბრიჩენოს 2 ვაზარით მოუგო. მეოთხედფინალში პეტერ პალჩიკს (ისრაელი) დამატებით დროში იპონით აჯობა, ნახევარფინალში უკრაინელი ანტონ სავიცკის დასამარცხებლად კი ვაზარი იკმარა. გადამწყვეტ პაექრობაში „ლიპომ“ „შეჯიბრების რეიტინგ-ფავორიტი, ჰოლანდიელი მიხაელ კორელი დამატებით დროში გააკრა ბეჭებით ტატამს.

ნუგზარ ტატალაშვილს მსგავს წარმატებამდე ერთი გამარჯვება დააკლდა — ფინალამდე მან ხუთი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან: შვეიცარიელ მიშელ კისტლერს იპონით აჯობა, უკრაინელი დანიელ საფინიც ვადამდე დაამარცხა, რუს ალუ ბოჩკაევს ვაზარით სძლია, ასევე, ერთი ვაზარით მოუგო ყაზახ ბეკჟან აბდუალიევს, ხოლო ნახევარფინალში სომეხი ანდრანიკ ჩაპარიანის წინააღმდეგობის დასაძლევად „ოქროს დრო“ დასჭირდა. პირველი ადგილისთვის ჩვენებური რუს დენის კალინინს დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში თამაზ კირაკოზაშვილს მოუგო. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა გადამწყვეტი ორთაბრძოლაც თავის სასარგებლოდ დაასრულა და ოქროს მედალიც დაიმსახურა. ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში თამაზ კირაკოზაშვილი პორტუგალიელ ჟოაო მარტინოსთან ვერაფერს გახდა და მეხუთე ადგილს დაყაბულდა. ასევე, მეხუთე იყო ლაშა ტაველური (100), რომელიც „ბრინჯაოს“ ფინალში უკრაინელ ანტონ სავიცკისთან დამატებით დროში დამარცხდა. დანარჩენი ქართველი მოჭიდავეები მინსკში კვარცხლბეკს ვერ მიუახლოვდნენ.

ერთ თვეში ბუდაპეშტი ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ცირეკიძემ გუნდის მთლიანი შემადგენლობა მინსკში დატოვა, სადაც გუშინ ერთკვირიანი ერთობლივი საწვრთნელი შეკრება დაიწყო. ნაკრების საბოლოო შემადგენლობაც, ალბათ, ამ კვირის ბოლოს დასახელდება.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

სეუ ევროპის ჩემპიონია

სეუ-მ 2017 წლის საუნივერსიტეტო სარაგბო ევროპის ჩემპიონატი დაუმარცხებლად ჩაატარა და ოქროს მედლებს ზედიზედ მეხუთედ დაეუფლა.

მილანში გამართული ტურნირის დასკვნით დღეს ქართველმა სტუდენტებმა ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ვალენსიელი (ესპანეთი) სტუდენტები 43:7 დაამარცხეს. საბა შუბითიძემ ჰეთ-თრიკი შეასრულა, იოსებ მათიშვილმა ორი ლელო დადო, ხოლო გიორგი კვესელაძემ, თორნიკე მანაგაძემ და აკაკი ტაბუცაძემ თითო-თითო ლელო მიითვალეს. მათიაშვილმა და დიმიტრი კალანდაძემ ორორი გარდასახვა შეასრულეს ზუსტად.

ფინალში სეუ-ს მეტოქე ყუბანის (რუსეთი) უნივერსიტეტის გუნდი იყო, რომელსაც ქართველმა სტუდენტებმა ჯგუფურ ეტაპზე 12:7 სძლიეს და ორგანიზატორებმა ის შეხვედრა ტურნირზე საუკეთესოდ მონათლეს. ამჯერად ბრძოლა არ შედგა — სეუ-მ ყუბანელებს პირველ ტაიმში ორი, ხოლო მეორეში სამი უპასუხო ლელო დაუდო და 25:0 სძლია. ფინალურ შეხვედრაში თავი კალანდაძემ, ანზორ სიჭინავამ, ბექა საღინაძემ, ტაბუცაძემ და შუბითიძემ გამოიჩინეს.

სეუ მეხუთე წელია, რაც სტუდენტურ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობს და მეხუთედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

კაცთა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ იოსებ მათიაშვილი დაასახელეს და მას სპეციალური პრიზი გადაეცა.

გაისად საუნივერსიტეტო ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში, ორლეანში გაიმართება.

სეუ-ს 7-კაცამ სტუდენტურ ევროპის ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **დიმიტრი კალანდაძე, ბექა საღინაძე, გიორგი კვესელაძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ანზორ სიჭინავა, თორნიკე მანაგაძე, ნიკა სუხაშვილი, სოსო მათიაშვილი, რევაზ ჯინჯიხაძე, საბა შუბითიძე, აკაკი ტაბუცაძე, მირიან მოდებაძე.**

მთავარი მწვრთნელი: **ლევან ობოლაძე**

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

სიბაშვილი პირველია

ფოთში დამთავრდა მოჭადრაკეთა მეთორმეტე საერთაშორისო ფესტივალი. ექვსი მოგებით, ორი ყაიმითა და ერთი მარცხით თბილისელი საერთაშორისო ოსტატი გიორგი სიბაშვილი სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. მან 7 ქულას მოუყარა თავი და სარეიტინგო 36 პუნქტიც დაიმსახურა.

ბოლო, მეცხრე ტურში სიბაშვილი თორნიკე სანიკიძეს (საგულისხმოა, რომ ორი კვირის წინათ ბათუმის საერთაშორისო ტურნირში 7-7 ქულით სანიკიძემ, სიბაშვილმა და გიგა ყუფარაძემ, შესაბამისად, პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს) დაუზავდა. 6.5-6.5 ქულითა და დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით მეორე-მეექვსე ადგილებზე, შესაბამისად, ლევონ ბაბუჯიანი (სომხეთი), ბორის სავჩენკო (რუსეთი), ჰოვიკ ჰაირაპეტიანი (სომხეთი), თორნიკე სანიკიძე და მერი არაბიძე გავიდნენ.

ფესტივალის დანარჩენ ჯგუფებში პირველები იყვნენ: B ჯგუფში — გორ ვირაბიანი (სომხეთი, 7 ქულა), C ჯგუფში — 12 წლის აკაკი ყალიჩავა (7.5), D ჯგუფში — აშოტ მკრტუმიანი (სომხეთი, 7.5), 10-წლიანებში — კახაბერ კიზირია (7.5) და მარიამ სიჭინავა (7.5), 8-წლიანებში — ლუკა კილაძე (8) და ქრისტინე ხვადაგიანი (8).

გივი გაგუა

◎ ლეგიონერები

გიორგი ჭანტურია რვათვიანი უქმობის შემდეგ მოედანს გოლით დაუბრუნდა. საქართველოს ნაკრების შემტევმა რუსეთის პრემიერლიგის მეორე ტურში, „დინამო“ — „ურალის“ მატჩის ბედი გადაწყვიტა და საკუთარ გუნდს 1:0 მოაგებინა.

გიორგი ჭანტურია:
„ძალიან ბედნიერი ვარ“

შეხვედრის შემდეგ ქართველმა ფეხბურთელმა ადგილობრივ მედიასთან ისაუბრა.

— გაიხსენებთ გოლის ეპიზოდს?

— კუთხური გავითამაშეთ და გადავწყვიტე კარისკენ დამერტყა. ვფიქრობდი, ბურთი თუ ვინმეს შეეხებოდა, გოლი გავიდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არავის შეხებია და გოლი მე გავიტანე. რაც ყველაზე მთავარია, გუნდმა მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა და ძალიან ბედნიერები ვართ.

— ელოდით ამ შეხვედრაში გამარჯვებას?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს და ყველა მატჩში გამარჯვებაა მიზანი.

— რა გითხრათ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა?

— მომილოცა და თბილი სიტყვები მითხრა. ბოლოს რვა თვის წინათ ვითამაშე და მოედანს ეს-ესაა დავუბრუნდი.

— თქვენ კმაყოფილი ხართ საკუთარი თამაშით?

— რა თქმა უნდა. ძალიან ბედნიერი ვარ. რვათვიანი უქმობის შემდეგ თამაში დავიწყე. მართალია, მხოლოდ 15 წუთი ვითამაშე, მაგრამ გატანაც მოვახერხე.

— როგორ კონდიციებში ხართ?

— ყოველდღე ვვარჯიშობ. ვცდილობ, რაც შეიძლება მალე ვიყო მზად 90 წუთის სათამაშოდ. ახლა კარგ მდგომარეობაში ვარ.

ჯაბიძე შეუცვლელია

რუსეთის პრემიერლიგის ორი ტურის შემდეგ მოუგებლად ასპარეზობს მოქმედი ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ — “„სახალხო გუნდი“ ამჯერად „უფას“ საგარეო შეხვედრაში დაუზავდა უგოლოდ.

ჯანო ანანიძე 90 წუთის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე დარჩა — მასიმო კარერა ქართველს ბოლო დროს ფაქტობრივად შანსს აღარ აძლევს. პირველ ტურშიც იგივე სურათი იყო ჯანოს თავს...

სამაგიეროდ, „უფას“ შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა ჯიმი ტაბიძემ და დამაჯერებლადაც გაისარჯა. ჩვენებურმა მე-80-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. „უფას“ ორ ტურში 4 ქულა აქვს, „სპარტაკს“ — 2.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

იუნ ჰასაგავა - გულმისავალი იაპონელი ასული

სამხრეთ ამერიკიდან ევროპამდე ლამაზმანთა სიკეკლუცისა და სიყირმიზის შეფასება-განსჯაში აზია ხშირად გვავიწყდება და ეს ნამდვილად არაა სამართლიანი, რადგან „ყვითელ“ კონტინენტზეც არანაკლებად გულმისავალი ასულნი მიდი-მოდიან და აბა მათი არშემჩნევა იქნების?

ახლა იაპონელ მოდელზე და ყოფილ სერფერზე იუნ ჰასაგავაზე მოგითხრობთ, რომელმაც ამ ბოლო დროს კინემატოგრაფსაც კოხტად გაუსინჯა გემო და თურმე არამხოლოდ იაპონიაში, მთელს აზიაში ამ ასულზე პოპულარული და სურვილის აღმძვრელი ქალი მეორე არ დაიარება.

იუნ ჰასაგავა სერფინგით ახლაც ხშირად ერთობა, მაგრამ რახანია სპორტის ეს ავსტრალიური სახეობა მისთვის ოდენ ჰობად იქცა და მთელს თავის დაუშრეტელ ენერგიას სამოდელო საქმეს აქსოვს. გათხოვებაზე კი როდესაც სიტყვას ჩამოუგდებენ, ისე იმრიზება, თითქოს ქმარი კი არა, იური ლუჟკოვი გვეხსენებინოს...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მესამე ნავსადგური

საზღვაო გადაზიდვებს საჰაეროც თუ დაემატება...

ამჟამად საქართველოში ორი დიდი სატვირთო ნავსადგური მოქმედებს, რომელთაგან ერთი ბათუმშია, მეორე — ფოთში. ბოლო დროს ქვეყანაში სატვირთო ტვირთბრუნვის მოცულობის განუხრელი ზრდა შეინიშნება, რომელიც, არაერთი საერთაშორისო-სავაჭრო ხელშეკრულების ძალაში შესვლის, აზია-ევროპის ორმხრივი მიმართულებით უკვე ამოქმედებული თუ ასამოქმედებელი სატვირთო-სატრანზიტო პროექტის გათვალისწინებით, უახლოეს პერსპექტივაში გაცილებით უფრო მეტად საგრძნობი გახდება. ამდენად, შავი ზღვის სანაპიროზე კიდევ ერთი ღრმაწყლოვანი დიდი სატვირთო ნავსადგურის ამოქმედების აუცილებლობა სავსებით ცხადია, რის თაობაზე ლაპარაკიც მრავალი წელი მიმდინარეობს. მეტიც, ანაკლიაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სატვირთო ტერმინალის აშენების, ასევე არსებული სიმძლავრეების ჯეროვნად გამოყენების მცდელობა, წლების მანძილზე მრავლად იყო, თუმცა კი საკითხის ერთხელ და სამუდამოდ ჯეროვნად გადაწყვეტას საშველი აღარ დაადგა.

ცოტა ხნის წინათ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ოპერირებასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში შერჩევის პროცესი დასრულდა. მასში მსოფლიოს შვიდმა დიდმა ლოჯისტიკურმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გადაწყვეტილებით, ნავსადგურის სატვირთო ტერმინალის ოპერატორი ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული კომპანია SSA Marine გახდა.

ანაკლიის სატვირთო ნავსადგურში ამერიკული ოპერატორის შემოსვლის გარანტიად უნდა განვიხილოთ კომპანია SSA Marine-ს სიმძლავრე და გაქანება, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ცხრა ქვეყანაში 250-ზე მეტ სტრატეგიულ ტერმინალში ყოველწლიურად TEU სისტემის 27 მილიონზე მეტ კონტეინერსა და 75 მილიონ ტონაზე მეტ მშრალ ტვირთს ამუშავებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამ ათეულ პირველხარისხოვან სარკინიგზო მაგისტრალზე მოქმედებს და საკრუიზო საქმიანობასაც ახორციელებს.

ამჟამად ანაკლიაში უკვე დასრულებულია წინასამშენებლო სამუშაოები, ასევე წარმოდგენილია ამასთან დაკავშირებული გარემოზე მავნე ზემოქმედების მოსალდონელი შედეგების ამსახველი დოკუმენტები, რომლებსაც საჯაროდ განიხილავენ. გარდა ამისა, სამთავრობო განხილვაზეა წარდგენილი ანაკლიის სატვირთო ნავსადგურის დიზაინის პროექტი. სამშენებლო სამუშაოებს კომპანია „ანაკლია სითი“ შეასრულებს, რომლის თანადამფუძნებლები კომპანიები „თიბისი ჰოლდინგი“ და „კონტი გრუპი“ არიან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ კომპანიების მიერაა დაფუძნებული „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, რომლის მოღვაწეობის მეორე მიმართულება თავად ქალაქ ანაკლიის განვითარების პროექტის ფრთაშესხმა იქნება. სამუშაოები კი უახლოეს დღეებში დაიწყება.

საქართველოში კიდევ ერთი ღრმაწყლოვანი სატვირთო ტერმინალის ამოქმედება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელობა იმის გათვალისწინებითაც იზრდება, რომ „ანაკლია სითის“ პროექტის განხორციელება ორმხრივად მომგებიანი იმ მხრივაც იქნება, რომ ქუთაისის მახლობლად განახლებულ კოპიტნარის სამგზავრო აეროპორტს, რომელიც დიდი წარმატებით მოღვაწეობს სამგზავრო გადაზიდვებზე, ტვირთების გადამზიდავის არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციასაც შესძენს. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ცოტა ხნის წინათ საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ხელმძღვანელმა **ქეთევან ალექსიძემ**. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ ანაკლიაში პროექტის წარმატების შემდეგ სავსებით შესაძლებელია კოპიტნარის აეროპორტის ინფრასტრუქტურული მოდერნიზება დაიწყოს, რომლის მიზანი მისთვის ლოჯისტიკური ფუნქციის შეძენა იქნება. აღნიშნულს კი, პირველ ყოვლისა, მისი ქვეყნის გეოგრაფიულ ცენტრში ადგილმდებარეობა განაპირობებს, რაც ტვირთების მოსაზიდად უაღრესად ხელშემწყობი წინაპირობაა.

როგორც ჩანს, ამ მოსაზრების სისწორის ერთ-ერთ გამძლიერებელ არგუმენტად ის გარემოებაც გამოდგება, რომ კოპიტნარის აეროპორტი რეკონსტრუქციის შემდეგ წლიდან წლამდე მეტი ინტენსივობით მუშაობს, მარტო წლის განვლილ პერიოდში მგზავრთა ნაკადი იქ თითქმის გაორმაგდა, თითქმის 70 პროცენტით გაიზარდა ავიარეისების ოდენობა, რომელთა რიცხვმა 166-ს მიაღწია, ხოლო ქვეყნის მასშტაბით იმერეთის ამ საჰაერო კარიბჭით საქართველოში ავიამგზავრების ნახევარი გადის.

ოთარ ტურაბელიძე

განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული დ.ქ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით დამნაშავედ ცნო, ამის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2017 წლის 10 იანვარს, დაახლოებით 22:00 საათზე, სამტრედიაში დ.ქ.-ს ურთიერთშელაპარაკება მოუხდა თ.გ.-სთან, რა დროსაც შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით თ.გ.-ს დანით გულმკერდის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დროული სამედიცინო დახმარების შედეგად თ.გ.-ს გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა დ.ქ. 2017 წლის 11 იანვარს სამტრედიაში, პოლიციის შენობაში გამოცხადების შემდეგ დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დ.ქ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად რვა წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“,- აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

გამოსათხოვარი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მეცნიერი, გამოჩენილი ნიადაგმცოდნე და ქვეყნის სასიქადულო მოქალაქე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯუმბერ ილიას ძე ონიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სოფელ ვეჯინში გამგებლის წარმომადგენელი დაჭრეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინში გამგებლის წარმომადგენელი კუკური ჯამატაშვილი დაჭრეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი სადაო მიწის ნაკვეთს უკავშირდება.

როგორც imedinews წერს, ჯამატაშვილს სანადირო თოფიდან ფეხის არეში ესროლეს.

დაჭრილი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა.

სავარაუდო ბრალდებული პოლიციამ უკვე დააკავა.

ჭოროხში დამხრჩვალი მამაკაცის ცხედარი ზღვამ ფოთში გამორიყა

ხელვაჩაურში დაკარგული მამაკაცის ცხედარი მაშველებმა ფოთში იპოვეს. იგი ზღვამ გამორიყა. მამაკაცს რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ. იგი გასულ კვირას მდინარე ჭოროხში დაიკარგა. ცხედარი ამ დროისათვის პროზექტურაშია გადასვენებული. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

თბილისის ინტერპოლმა პრაღის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავა

თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს პირველი განყოფილების სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის„წითელი ხიდის“ თანამშრომლებმა, საქართველოში შემოსვლისას, პრაღის ინტერპოლის მიერ საერთაშორისო დონეზე ძებნილი, 1967 წელს დაბადებული ა.ტ. დააკავეს.

დაკავებული დამნაშავედ არის ცნობილი ჩეხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 43 T 23/2005 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც მკვლელობას გულისხმობს.

ამჟამად მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

ხეტყე კვლავ უკანონოდ იჩეხება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები საქართველოს მასშტაბით სისტემატურად ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელიც ხეტყის მასალის უკანონო მოპოვება-რეალიზაციით დაკავებული პირების გამოვლენა-მხილებას ისახავს მიზნად.

საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კახეთის რეგიონში გამოვლინდა ხის საამქრო, სადაც დასაწყობებული იყო სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობის, ძვირფასი ჯიშის ხის — კაკლის მასალა, რომელიც გამიზნული იყო იარაღის კონდახის დასამზადებლად. ამ ეტაპზე, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული ხის მასალის წარმომავლობის დადგენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიების ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით გამოვლენილია უკანონოდ მოქმედი ხის გადამმუშავებელი არაერთი საამქრო და ხეტყის მასალის უკანონოდ მოპოვება-დამუშავებისა და გადაზიდვის ათეულობით ფაქტი. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ყველა ის პირი, ვინც დოკუმენტების გაყალბების გზით ახდენდა ხე-ტყის მასალის ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში ინტენსიურად ახორციელებს ხეტყის მასალის უკანონო მოპოვება-რეალიზაციის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას.

ვულოცავთ!

რევაზ ბასარია – 85

ქართული ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ ბასარია** 85 წლისაა!

ბატონი რევაზი უაღრესად მდიდარი, საინტერესო ბიოგრაფიის პატრონია. სხვადასხვა დროს მუშაობდა საპასუხისმგებლო, ხელმძღვანელ თანამდებობებზე საბანკო სისტემაში, პარტიულ და მმართველობით ორგანოებში, სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. მის ბიოგრაფიას განსაკუთრებით ამშვენებს სახელმწიფო სტატისტიკის ხელმძღვანელობის 15-წლიანი პერიოდი, რომლის დროსაც ამ სამსახურის განხორციელებულმა მასშტაბურმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის შეფასებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის პირობების მომზადებაში. საქმიანმა და ადამიანურმა თვისებებმა — კომპეტენტურობამ, ობიექტურობამ, პრინციპულობამ და გულისხმიერებამ ბატონ რევაზს უზარმაზარი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ავტორიტეტი მოუხვეჭეს.

ბატონი რევაზი ეკონომისტთა, სტატისტიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელია. იგი დღესაც ჩვეული ენერგიით აგრძელებს აკადემიურ-პედაგოგიურ მოღვაწეობას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დარწმუნებული ვართ, მისი, თანაავტორობით სულ ახლახან გამოცემული სახელმძღვანელო „ეკონომიკის პრინციპები“ სტუდენტებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი გახდება.

დღეგრძელობასა და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ვუსურვებთ სახელოვან იუბილარს.

უმცროსი მეგობარ-თანამოაზრეები:
იოსებ არჩვაძე, თეიმურაზ ბერიძე, დავით კბილაძე, ოლეგ ნიკოლეიშვილი.

სახელოვანი

გრიგოლ (გრიშა) ონიანი იუბილარია

25 ივლისი ბატონი გრიშას დაბადების დღეა — ღირსეული პიროვნება, საყოველთაოდ აღიარებული კაცი, პატრიოტი, ნამდვილი ქართველი, ყველა ღირსების მატარებელი. დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო გრიშა, თქვენს დიდ ოჯახთან ერთად.

ძმური სიყვარულით,
თენგიზ ქავთარაძე

ბედნიერებაა, იყო ახლობელი და მეგობარი ისეთი ღირსეული პიროვნებისა, როგორიცაა მთელ საქართველოში სახელგანთქმული მოღვაწე და მეცენატი

გრიგოლ (გრიშა) ონიანი...

მართლაც გამორჩეული პიროვნებაა ბატონი გრიშა, არ არსებობს რაიმე ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიება, მას რომ მონაწილეობა არ მიეღოს. ახლახან სვანურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა თავისი ხარჯით, როგორც ღირებული ქართველოლოგიური ძეგლი. სწორედ მასზეა ნათქვამი დიდი პოეტის სიტყვები — „ის კაცი არის, ვით შეშვენის კაცსა კაცობა“.

დღეს სტალინის საზოგადოების თავმჯდომარეს გრიგოლ ონიანს დაბადების 80 წლისთავი შეუსრულდა. ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და კვლავაც მხნეობასა და ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ ძვირფას მეგობარს. გფარავდეს ღმერთი!

პატივისცემითა და სიყვარულით,
თეიმურაზ და თენგიზ ონიანები

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„აისი“ კურორტ „გოდერძიზე“ სასტუმროს ააშენებს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ კურორტ „გოდერძიზე“ ახალი სასტუმროს მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. სიმბოლური კაფსულა მან ხულოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან საქართველოს პარლამენტში ანზორ ბოლქვაძესთან და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან ბესიკ ბაუჩაძესთან ერთად ჩაუშვა.

სასტუმროს სამშენებლო დეველოპერული კომპანია „აისი“ აშენებს. 4-სართულიან შენობაში 30-ნომრიანი სასტუმრო და რესტორანი განთავსდება, სადაც საკონფერენციო დარბაზი, მცირე აუზი, საუნა, საბილიარდე და თხილამურების შესანახი სივრცე მოეწყობა. აღნიშნულ პროექტში განხორციელდება 2 000 000 ლარის ინვესტიცია. ერთი სართული სრულად დაეთმობა რესტორანს. სასტუმროში მოეწყობა ლიფტი. ამჟამად მშენებლობაზე დასაქმებულია 15 ადამიანი. უახლოეს პერიოდში იგეგმება კიდევ 10 ადამიანის დამატება. ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ობიექტს 15 ადამიანი მოემსახურება.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

თეონა ცირამუას დაჯილდოებაზე კულტურის სამინისტრომ არაფერი იცოდა!

კულტურის მინისტრის მოადგილის მანანა ბერიკაშვილის განცხადებით, მას ინფორმაცია საერთოდ არ ჰქონდა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია „BLACK SEA ARENA“-ზე აპირებდა გორის ქალთა კაპელის ხელმძღვანელის თეონა ცირამუას დაჯილდოებას, რომელიც ჩაიშალა.

მანანა ბერიკაშვილის თქმით, ჩატარებულ გრანდიოზულ კონცერტში სამინისტროს მონაწილეობა საეროდ არ მიუღია.

შეკითხვაზე „BLACK SEA ARENA“-ზე ბიძინა ივანიშვილის მისვლა ხომ არ იყო დაკავშირებული დაჯილდოების ჩაშლასთან, მანანა ბერიკაშვილი ამბობს, რომ მსგავსი ეჭვები წარმოუდგენლად მიაჩნია.

„კულტურის სამინისტროს პირველად ესმის ეს თემა, ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. ჩვენი სსიპ არის გორის ქალთა გუნდი, მაგრამ პრეზიდენტის ჯილდოს თაობაზე არაფერი ვიცი, პირველად მესმის,“ — განაცხადა მანანა ბერიკაშვილმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა შეკვეთილს „ვერ მიაგნო“ და ღირსების ორდენი თეონა ცირამუას ბათუმში გადასცა...

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3983; ევრო - 2.7923;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1183;
100 რუბლი - 4.0713; თურქული ლირა - 0.6783;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4216;
1000 სომხური დრამი - 5.0095.

ამინდი 25 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge